პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

დღიური

პოლონეთის პროფკავშირებს მოსდის ცნობები იმის შესახებ, რომ მთავრობა სასტიკად სდევნის კრაკოვის აჯანყებაში მონაწილეებს.

საფრანგეთის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს კრონპრინცის დაბრუნების გამო.

გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტმა ლებემ განაცხადა, რომ გერმანიის საქმეებში ჩაერევა კრონპრინცი და გერმანიაში დარჩება მემარჯვენეთა მთავრობათ.

სტინესმა დიდძალი თანხა გადასდო ნავთის კონცესიების ხელში ჩასაგდებად.

№ 264 პარასკევი, 16 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მ ნ. № 264

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

აცნობებს მე-4 რაიონის ყველა მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ შაბათს, საღამოს 5 საათზე, პატარა თეატრის დარბაზში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ) შესდგება

ამხ. ფარნიევის მოხსენება

საბჭოთა რუსეთში მგზავრობისაგან მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

პროფკავშირებმა უნდა აცნობონ თავიანთ ადგილკომებს და აგრეთვე უწყებებმაც უნდა შეატყობინონ თავიანთ წარმოებებისა და დაწესებულებების მუშებს.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი

საკავშირო ცაკის მესამე სესია

13 ნოემბერს დაიხურა საკავშირო ცაკის მესამე სესია.

სესიის დღის წესრიგის საკითხებიდან კარდინალური მნიშვნელობის მქონეა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა კონსტრუქციის და ფუნქციების საკითხი.

კავშირის ცაკის მეორე სესიაზე მიღებულ კონსტიტუციის საფუძველზე მესამე სესიამ გამოიმუშავა და მიიღო დებულება საკავშირო ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების და სადირექტივო კომისარიატების შესახებ.

თავის თავად ცხადია, ჩვენი კონსტიტუცია არსებითად განსხვავდება ყველა ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ კონსტიტუციებიდან. უკანასკნელებს საფუძვლად უდევთ მშრომელთა და ჩაგრულ ერთა დამონება, რანაირ დემოკრატიულ და ლიბერალურ სიტყვებშიც არ უნდა იყვნენ ისინი ჩამოსხმულნი. ჩვენი საკავშირო კონსტიტუცია კი სულ ერთიანად აგებულია პროლეტარიატის და საერთოდ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის და ყველა ერების სრული თავისუფლება-თანასწორობის პრინციპებზე.

ჩვენი მტრები, პირველ ყოვლისა მენშევიკები სულ იმას გაიძახიან, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა აწარმოებს კოლონიზატორულ და ჩაგვრის პოლიტიკას მცირე ერების მიმართ, რომ ის უკანასკნელებს თავზე ახვევს თავის ნებისყოფას, რომელიც ეწინააღმდეგება კავშირში შემავალ განაპირა რესპუბლიკების ნაციონალურ და ეკონომიურ ინტერესებს.

ამ უსირცხვილო ცილისწამებას ძირ-ფესვიანად არღვევს მთელი ჩვენი სინამდვილე, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კავშირის მონაწილე ყველა ხალხების ნაციონალურ-კულტურული და სამეურნეო აღორძინებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მოსპოს ერებში ის ფაქტიური უთანასწორობა, რომელიც არის შედეგი ძველი რეჟიმის იმპერიალისტური პოლიტიკის.

საბჭოთა ხელისუფლების მტრების სისინს საბჭოთა კავშირში შემავალ განაპირა ხალხთა ვითომ უთანასწორობაზე სავსებით აბათილებს მესამე სესიის მიერ დამტკიცებული დებულება ერთა საბჭოს შესახებ.

კონსტიტუციის მიხედვით, საკავშირო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო კავშირის ცაკი შესდგება, თანასწორ უფლებების ნიადაგზე, საკავშირო საბჭოსა და ერთა საბჭოსაგან.

ერთა საბჭოში თანასწორად არიან წარმოდგენილი ყველა საკავშირო რესპუბლიკები, მიუხედავად მათი მოსახლეობის რაოდენობისა.

ერთა საბჭოს ფართე უფლებები აქვს მინიჭებული. ყველა კანონპროექტები, რომელნიც ტარდებიან ცაკში, ღებულობენ კანონის ძალას მხოლოდ მაშინ, თუ ისინი დადასტურებულნი არიან ხმის უმრავლესობით არა მარტო საკავშირო საბჭოში, არამედ ერთა საბჭოშიც.

ამგვარად, სავსებით უზრუნველყოფილია მცირე ერების ნაციონალური უფლებები და ინტერესები.

ამავე მიზნებს ემსახურებიან ცალკე რესპუბლიკების სპეციალურად ის კომისარიატები, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან ცენტრისაგან. ისინი გამოხატავენ ამა თუ იმ ერის კულტურულ-ისტორიულ და ყოფა-ცხოვრების თავისებურებათ, და ამ სფეროში ავტონომიურად მოქმედებენ.

მაგრამ ამავე დროს საბჭოთა კავშირის ხალხებს აქვთ მრავალი საერთო საქმეები, რომელთა გაძღოლა დაკისრებულია გაერთიანებულ კომისარიატებზე. საბჭოთა კავშირს, რომელიც გარშემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნებით, უნდა ჰქონდეს ერთი ნებისყოფა, ერთი სალაპარაკო ენა გარეშე მსოფლიოს მიმართ. ეს ხორციელდება ერთიანი საკავშირო გარეშე საქმეთა კომისარიატის საშუალებით.

ესევე ითქმის სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის შესახებ. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა კატეგორიულად გვიკარნახებს კავშირის სამხედრო ძალების და მათი ორგანიზაციის სრულ ერთიანობას.

კაპიტალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერთიანი გამოსვლას მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზანს ემსახურება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. აქაც აუცილებელია ერთიანობის დაცვა, ამასთან ამ სფეროში მოქმედების ერთგვარი თავისუფლება უნდა მიენიჭოს ცალკე რესპუბლიკებს, ზოგადსაკავშირო გეგმების და ნორმების ფარგლებში. ასეთი დებულებებზეა აგებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

გაერთიანებულ კომისარიატებს ეკუთნიან აგრეთვე გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატები, რაც მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ტრანსპორტის და დაუბრკოლებელი ურთიერთი დამოკიდებულების განსავითარებლად.

გარდა ამ ორი სახის კომისარიატებისა, გაერთიანებულის და ნაციონალურისა, კიდევ არიან ე. წ. სადირექტივო კომისარიატები (სახალხო მეურნეობის საბჭო, კომისარიატები ფინანსების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, შრომის, სასურსათო). ისინი აწესრიგებენ ისეთ საქმეებს, რომელნიც ერთდაიმავე დროს ხასიათდებიან როგორც ნაციონალური, ისე საერთო, საკავშირო მომენტებით. ამ კომისარიატების ცენტრალური ორგანოები იმუშავებენ მხოლოდ ზოგად საფუძვლებს სახელმძღვანელო ხასიათისას, ხოლო ასეთივე რესპუბლიკანურ კომისარიატებს, ზოგად საფუძვლების ფარგლებში, ეძლევათ უფლება დამატებითი კანონების გამოცემისა, ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ჩვენ ვხედავთ, რომ საკავშირო კონსტიტუცია რამოდენიმედ რთულია. მაგრამ ეს იმიტომ, რომ მან სავსებით გამოხატოს რეალური ძალთა განწყობილებანი, საკავშირო რესპუბლიკების ხალხთა კლასობრივი და ნაციონალური ინტერესები.

სესიამ დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა კონსტიტუცია, შეიტანა იქ საჭირო სიცხადე და გარკვეულობა.

ეს დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი კავშირის შემდეგი გამტკიცებას, სპობს მის ნაწილებ შორის რაიმე ღრმა გაუგებრობათა აღმოცენების შესაძლებლობას და სავსებით აღწევს საერთო-საკავშირო და ცალკე ნაციონალურ მომენტის შეთანხმება-შეთავსებას.

საფრანგეთის რევოლიუციონური პროფკავშირების კონგრესი

კომინტერნისა და მისი საფრანგეთის სექციის უდიდესი გამარჯვება — ასეთია პირველი დღის შედეგი „შრომის საყოველთაო უნიტარული კონფედერაციის" ყრილობისა, რომელიც გაიხსნა გუშინწინ პარიზში, საფრანგეთის ყველა კუთხეებიდან შეგროვილი ოთხასი დელეგატის მონაწილეობით.

უკვე ცალკე ფედერაციების ყრილობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, აშკარათ ხდიდენ იმ ფაქტს, რომ პროფინტერნის პლატფორმაზე მტკიცეთ მდგომი კავშირები შეადგენდნენ საკმაოთ საიმედო უმრავლესობას უნიტარულ კონფედერაციაში და ანარქო-სინდიკალისტები, რომლებსაც მხარს უმაგრებდნენ რენეგატ ფროსარის კომპანია, გასული კომპარტიის რიგებიდან, ვერ შესძლებდენ იმ „სახელმწიფო გადატრიალების" ჩატარებას, რომელსაც ისინი ამზადებდენ რევოლიუციონურ კავშირებში.

რეფორმისტული ბელადების მოღალატურმა პოლიტიკამ, ჟუო-მერჰაიმების პოლიტიკამ, გაჰყო ორ ნაწილათ საფრანგეთის პროფკავშირთა გაერთიანება, ეგრედ წოდებული „შრომის საყოველთაო კონფედერაცია". ნაწილი (უმცირესობა) დარჩა რეფორმიზმის საჯიჯვნათ და პოლიტიკური პარტიისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის ნიღაბ ქვეშ ატარებდა თავის სექციებში უსაძაგლესი ტიპის პარტიულ-პოლიტიკურ ჰეგემონიას რეფორმისტული სოციალიზმისას. მემარცხენე ნაწილი კი ყოფილი კონფედერაციის, უმრავლესობა მისი, გამოვიდა უნიტარული კონფედერაციის სახელწოდებით და საერთოთ დადგა წითელი პროფინტერნის პლატფორმაზე. სხვათა შორის ეს უკანასკნელი გარემოება განსაზღვრავდა პროფკავშირების ამ ნაწილში მომუშავე ამხანაგების მეთოდებს, მათი საკავშირო მუშაობის გეზს. მეტი კავშირი კომპარტიასთან, მტკიცეთ გატარება პროფინტერნის ტაქტიკისა საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირებში—ასეთი იყო გზა, რომელსაც დაადგენ ჩვენი ამხანაგები ახალ ორგანიზაციაში და მსგავსათ თვალთმაქც რეფორმისტებისა არც მალავდნენ თავიანთ მიზნებს. ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფი მუშაკების, რომლებიც სულ [illegible] იყვნენ იმისთვის, რომ თავზე მოეხვიათ საფრანგეთის კავშირებისთვის თავიანთი მრწამსი და გამოდიოდნენ თავიანთ მეორე უკიდურესობის, რეფორმიზმის, წინააღმდეგ, ამხედრდნენ ახალ კავშირებში კომუნისტების წინააღმდეგაც, რომლებსაც ისინი ბრალსა სდებდენ იქ ვითომდა რასკოლის შეტანაში, „მოსკოვის დიქტატურის" გამეფებაში. ამ „წმინდა" საქმეში, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ მათ ჰყავდათ დამხმარეები კომუნიზმის რენეგატების, ფროსარისა და მისი ამხანაგების, სახით. პოლიტიკური პარტიის, კერძოთ და უმთავრესად კომპარტიის წინააღმდეგ (რადგან კომპარტია იყო ამოღებული მიზანში)—ასეთი იყო დროშა ყველა ანტიკომუნისტური ფრაქციების.

ეს პოზიცია დამარცხდა.

დიდი უმრავლესობით კონგრესმა მიიღო ამხ. მონმუსოს მიერ წაკითხული კონფედერალური ბიუროს რეზოლუცია, რომელიც იწონებს პროფინტერნის ტაქტიკას, აღნიშნავს კომუნისტების თავდადებულ ბრძოლას პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის და ჰგმობს ანარქო-სინდიკალისტების და მათი ამყოლების მუშაობის მეთოდებს კავშირებში.

საფრანგეთის რევოლიუციონური პროფკავშირების კონგრესის პირველი დღის შედეგები საუკეთესო გაკვეთილია ყველა ანტიკომუნისტური პარტიებისათვის და საფრანგეთის პროფკავშირებიც, დარჩენილი უნიტარული კონფედერაციის გარეშე, სათანადო დასკვნას გამოიყვანენ ამ გადაწყვეტილებიდან. ეს დასკვნა გამანადგურებელი იქნება ჟუოს კამპანიისა და მასთან ერთათ საფრანგეთის ბურჟუაზიისათვისაც.

ორი სამსჯავრო

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 15 ნოემბერი. „პრავდა" თავის მეთაურში სწერს:

„ვოროვსკის მკვლელთა გასამართლების ინსცენიროვკა ჩაიშალა. ჯერ არ არის გამორკვეული, გაბედავს თუ არა შვეიცარიის ბურჟუაზიის სამსჯავრო ორივე მკვლელის გამართლებას, ისე როგორც მანვე გაბედა არ დაესვა ბრალდებულთა სკამზე ის მრავალი პირები, რომლებიც აქეზებდენ და მალავდენ მკვლელებს. შესაძლებელია მან იმსხვერპლოს ორი ბრალდებული, რათა ამით იხსნას უხერხულ მდგომარეობიდან მკვლელობის მთავარი ინიციატორები. მაგრამ, როგორიც არ უნდა იქნეს განაჩენი, ამ თავითვე ნათელია, რომ ბურჟუაზიის საქმე მისივე სასამართლოში უიმედოა.

შარშან ჩვენ შეუბრალებლათ გავასამართლეთ თეთრი ტერორის ორგანიზატორები—ესერები. ეხლა ლოზანაში ჩვენი მტრები შეეცადენ თვალთმაქცურ სასამართლოს საშუალებით აერიათ თეთრი ტერორის ორგანიზატორთა კვალი. რასპუტინის და ვრანგელის მიმდევრებმა სხვადასხვა მომგებიან დაწესებულებების მესაკუთრეებმა და ყოველგვარ ჯიშის სოციალ-შეთანხმებლებმა ისტორიული მოთქმა-გოდება მორთეს მაშინ მთელი ევროპის გასაგონათ და გოცის, ტიმოფეევის და სხვათა დასაცავათ. ეხლა შავრაზმელ მკვლელებს ესარჩლებიან იგივე თეთრგვარდიელი „ყორქაკები",—ვრანგელის ოფიცრები, რომლებიც ბულგარეთში დაქირავებულ მკვლელთა მოვალეობას ასრულებდენ, იგივე „დემოკრატიული ყვანჩალა"—კუსკოვის ქალი, იგივე პირმოთნე ბელგუნოვი, ჩერნოვი და ზენზინოვი. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ მთელი ჩვენი ემიგრაცია, „ჯგუფების" განურჩევლათ, შეკავშირებულია შინაგან ურთიერთი თავდებობით.

ეს ლოზანის პროცესის პირველი დასკვნაა.

მეორე დასკვნაც ის არის, რომ მუშათა კლასი როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც, რომელმაც იცის სოციალ-შეთანხმებლებსა და რეაქციის შორის ამ ურთიერთ თავდებობის არსებობა, იმათაც და ამათაც ერთის სამართლით გაასამართლებს:

მოსკოვის პროცესში შესაძლებელი გახდა ლენინზე თავდასხმის და ვოლოდარსკის, ურიცკის და სხვების მოკვლის მთელი პოლიტიკური სარჩულის გამორკვევა, ესერების ცეკას და აგრეთვე ადმინისტრატიული ცენტრის დოკუმენტებით. ბრალდებული ცეკისტები და უცხოელი ესერები ფიცით არწმუნებოდენ, რომ დაამტკიცებდენ დოკუმენტების სიყალბეს. „სოციალისტური მოამბე" გაჰკიოდა უსამართლობის შესახებ. გავიდა წელიწადი და ესერებიც იძულებული შეიქნენ ეცნოთ ამ საბუთების სისწორე. მენშევიკები „სოციალისტურ მოამბე"-ში აყვედრიან ესერებს საბუთების სიყალბეს. აი ამიტომ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი" იჩენს დიდ სიფრთხილეს. აი ამიტომ სცდილობდენ მენშევიკები თავი დაეღწიათ თავდებობისაგან, მაგრამ ტყუილ უპრალოთ „რულ"-მა იქვე მოაგონა რომ ვრანგელის შტაბმა, რომელმაც თავი მოუყარა დაცვის მოწმეებს, დაურიგა მათ ისეთი „პროგრამა", რომელიც იბეჭდება „სოციალისტიჩესკი ვესტნიკში". მენშევიკების სურვილების წინააღმდეგ საერთო თავდებობა აღდგენილია.

ლოზანაში არც ერთი დოკუმენტი არ იქნა დაშვებული. დემოკრატიული სასამართლო იცავდა ბურჟუაზიის კანონებს,—რომლის სახელია ფაშიზმი. მაგრამ ამ პროცესში გამოსჭვიოდა მამხილებელი სიმართლის ნატამალი, რომელმაც საშუალება მისცა სამოქალაქო მომჩივანს საჯაროთ განეცხადებია, რომ ვოროვსკის მკვლელები სუბსიდიებს ღებულობდენ ანტანტისაგან და აგრეთვე მას მიეცა საშუალება ელაპარაკა „წითელი ჯვრის" დროშის ქვეშ ჩადენილ მკვლელობაზე.

დასკვნა მესამე. მხოლოდ პატიოსანი სამსჯავროს მაგარი ხელი, გამოამჟღავნებს ყველა იმათ, რომელნიც განაგრძობენ შეთქმულების მოწყობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. ვოროვსკის მკვლელების საქმეს მიეცემა სათანადო მსვლელობა.

ფრონტი

მემარცხენე სოც.-ფედერალისტები და ჩვენი პარტია

გაზეთი „ტრიბუნა" სწერდა ამ დღეებში (სოც. ფედერალისტების ყრილობის გადაწყვეტილების გამო კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ) შემდეგს: „ჩვენი ნაბიჯი გადადგმულია საერთაშორისო კომუნიზმისაკენ. არც ერთი გოჯით ცოცხლები არ დავიხევთ უკან"-ო. ამ სიტყვებში გამოხატულია მტკიცე კურსი, რომელიც აიღო პარტიამ და რომელსაც ჩვენ კვლავ ვესალმებით. ასეთივე სიმტკიცით არის გამსჭვალული ამხ. თ. ღლონტის წერილი: „ჩვენი გაკომუნისტება", მოთავსებული ამავე გაზეთის უკანასკნელ ნომერში (621) აშუქებს რა თავისებურათ სოც. ფედერალისტების პარტიის წარსულ თეორეტიულ დებულებებს, ამხ. ღლონტი სწერს ყრილობის გადაწყვეტილების გამო სხვათა შორის შემდეგს:

> „ყოველმა მემარცხენე ფედერალისტმა, რომელმაც კი გაიარა ჩვენი პარტიის ქვაბი და საცერი, იცის თუ რას ნიშნავს კომუნისტი და რა უნდა წაიღოს მან კომპარტიაში.
>
> მემარცხენე ფედერალისტი მიდის კომუნისტურ პარტიაში არა ბიუხნერის და კაუცკის მატერიალიზმით, არამედ ლენინისტური მატერიალიზმით და მარქსიზმით; ჩვენი პარტიის წევრებს არევ-დარევის მიზანი კი არ აქვთ შუბლზე აღბეჭდილი, არამედ კომპარტიის რიგებში რაზმულებად ჩადგომა და მისი განმტკიცება".

რამდენათ გამოდგებიან ამ საპასუხისმგებლო როლისთვის მემარცხენე ფედერალისტები, რომლებიც კარგათ იცნობენ ბრძოლის უნარს, თავდადებულებას, სიმტკიცესა და რკინის დისციპლინას ჩვენი პარტიისას.

„შესძლებენ თუ არა ამას ჩვენი ამხანაგები?"—კითხულობს თვით ავტორი და უპასუხებს ასე:

> —„მომავალი გვაჩვენებს. მაგრამ დღესაც ხომ მზის სინათლეზე და საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობენ ჩვენი ამხანაგები და სამი წლის ისტორია ყველას უმტკიცებს, რომ ჩვენი პარტიის წევრებმა პატიოსნების, სოლიდარობის, კოლეგიალური და დისციპლინარული მუშაობის გამოცდა სავსებით დაიჭირეს.
>
> ჩვენები არ ყოფილან ორგულები, საბოტაჟნიკები, დემაგოგები, გარეწარნი, მაცდურნი და არამზადანი.
>
> ჩვენები იყვნენ მტკიცენი მუშაობაში, მეყაითნი, დამჯერნი, ამხანაგური მუშაობის დამცველნი, თავდავიწყებით გატაცებულნი და მოყვარულნი მთელი საბჭოთა წყობილების.

ჩვენ სიამოვნებით შეგვიძლია დავადასტუროთ ყოველივე ზემო თქმული. ჩვენი გამოცდილება მემარცხენე სოც. ფედერალისტებთან მუშაობისა საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში სრულიად ეთანხმება დახასიათებას, რომელსაც აძლევს ამხ. ღლონტი ჩვენთან მომუშავე მის პარტიულ ამხანაგებს.

ყველა ზემოხსენებული თვისებები —ასე ათავებს ამხ. ღლონტი—

> „... საჭიროა კომუნისტებისათვის და ამ თვისებებით წავლენ ჩვენი ამხანაგები კომუნისტური პარტიისაკენ.
>
> ისისინონ მტრებმა, ილანძღონ ვიგინდარებმა! მათი დაქსაქსვა და ჩვენი შეკავშირება—აი ჩვენი ლოზუნგი და თუ ჩვენ მთელი აწმყო გვამართლებს და მთელი მშრომელი ხალხიც, უეჭველია ისტორიაც და მშრომელი ხალხის მომავალიც ასევე გაგვამართლებს".

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

იუდა ისკარიოტელები: საქსონიის წითელი მთავრობის ყოფილი წევრის, კომუნისტის ბეტხერის მიერ უმუშევართათვის 800 მილიარდი მარკის გაცემის წინააღმდეგ გაილაშქრეს სოციალ-დემოკრატებმა.

საქსონიის წითელი მთავრობის ყოფილმა წევრებმა—კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიც აღნიშნავენ სოციალ-დემოკრატების გამყიდველობას და კაპიტულიაციას ბურჟუაზიის წინაშე.

შავი ძალები „მუშაობენ": ბავარიის სახალხო პარტია თანახმაა, რომ კარი დროებით დარჩეს მთავრობის სათავეში.

ერფურტში დაატუსაღეს ადგილობრივ კომუნისტური გაზეთის რედაქტორი.

მთავრობამ დაატუსაღა კომუნისტი-დეპუტატი შნელლერი.

რას უმზადებს გერმანიას შტრეზემანის მთავრობა: რეიხსტაგის პრეზიდენტის ლებეს განცხადებით, გერმანიაში დარჩება მემარჯვენეთა მთავრობა. შესაძლებელია, კრონპრინცი ჩაერიოს სახელმწიფო საქმეებში.

გერმანიის ამბების გამოძახილი: საფრანგეთის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანიაში კრონპრინცის დაბრუნების გამო.

რას უმზადებს გერმანიას შტრეზემანის მთავრობა

რეიხსტაგის პრეზიდენტის ლებეს განცხადება.

ბერლინი. 13 ნოემ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარემ, სოციალ-დემოკრატმა ლებემ განაცხადა, რომ ის არ იწონებს შტრეზემანის პასიურ პოლიტიკას ბავარიის მიმართ. შტრეზემანი ალბად ფიქრობს, რომ ბავარიის ფაშიზმი თავისთავად მოისპობა შინაგანი წინააღმდეგობის გამო. შესაძლებელია ჰიტლერის მიმდევართა გამოსვლები კარის წინააღმდეგ, მაგრამ ლებე ფიქრობს, რომ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს არ შეფერის დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ ამ შესაძლებლობაზე.

ტევტონიის პარტიის იმედი, რომელიც გენერალ სექტს თვლის მომავალ სამხედრო დიქტატორად, ლებეს უსაფუძვლოთ მიაჩნია. თუმცა რეიხსვერის მხრივ ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ გენერალმა სექტმა სახელი გაითქვა რესპუბლიკანელებს შორის და არ გადასდგამს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნაბიჯებს. ამიტომ ლებეს უსაფუძვლოთ მიაჩნია მემარჯვენეების იმედი, რომელნიც ფიქრობენ, რომ სექტი უარს იტყვის გადასცეს ებერტს მთელი ძალაუფლება, რომელიც დროებით მინდობილი ჰქონდა სექტს, მიუნხენის ამბების გამო.

შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ახალ დიდ კოალიციაში სოციალ-დემოკრატების შესვლა, ლებემ უარყოფითად უპასუხა და განაცხადა, რომ ამბები მარჯვნისაკენ ვითარდებიან და გერმანიას ეყოლება მემარჯვენე მთავრობა, რომელიც მხოლოდ ეპიზოდიური იქნება.

შემდეგ ლებემ განაცხადა, რომ გერმანიის მუშათა კლასის პერსპექტივები არ არის ბრწყინვალე, მაგრამ არც უიმედოა.

მუშათა კლასი დაუძლურებულია ფინანსიურ გაჭირვების გამო, ხოლო პარტიები და პროფკავშირები აგრეთვე დასუსტებული არიან შინაგანი განხეთქილებით.

გერმანიაში კრონპრინცის დაბრუნება ლებეს მიაჩნია სოციალ-დემოკრატებისათვის არასასურველ ფაქტად, ვინაიდან შესვლის ნებართვა შტრეზემანის მთავრობამ მისცა კრონპრინცს 23 ოქტომბერს, ამასთანავე მთავრობაში მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს ნებართვის გაცემას.

საკითხი გადაწყვეტილი იქნა პრინციპიალურად და დაბრუნების ვადა უფრო მოგვიანებით სურდათ დაენიშნათ. შტრეზემანმა ისარგებლა მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გამოსვლით და დამოუკიდებლივ მისცა კრონპრინცს ნებართვა, რომლის პირადი მეგობარია ის. **ლებე აუცილებელ მოვლენად სთვლის კრონ-პრინცის პოლიტიკაში ჩარევას,** ვინაიდან კრონპრინცის მიმდევრები ყოველ გვარ ძალ-ღონეს მიმართავენ.

გაფიცვების ტალღა

ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა.

ბერლინი. 14 ნოემბ. მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება გამოდიან მხოლოდ „ფორვერტსი", „დოიჩე ცეიტუნგი" და აგრეთვე კომპარტიის არალეგალური ორგანო.

ბერლინის სტამბების მეპატრონეთა კავშირი მცხოვრებლებისადმი გამოშვებულ მოწოდებაში სცდილობს გაფიცვისათვის მთელი პასუხისმგებლობა მუშებს დააკისროს. თავის მხრივ, მბეჭდავთა კავშირი გამოშვებულ მოწოდებაში პროტესტს აცხადებს სექტის მიერ გაფიცვის აკრძალვის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა მუშებს მათი მოთხოვნილებებისათვის ხელის შეწყობას.

შრომის სამინისტროში დანიშნულ თათბირზე მეწარმოებლები არ გამოცხადდენ. გაფიცვის კომიტეტი, რომელშიაც შედიან 24 სოციალ-დემოკრატი და ერთი კომუნისტი არალეგალურ მდგომარეობაში მოექცა.

გაფიცვის განგრძობას, მიუხედავათ გენერალ სექტის მიერ აკრძალვისა, ბერლინში სთვლიან გენ. სექტის დამარცხებად.

იმის გამო, რომ გაფიცვა გრძელდება, მთავრობა იძულებული გახდა ფულის ბეჭდვა პროვინციაში გადაეტანა.

რა ხდება ბავარიაში

კარი ჰიტლერს აბრალებს.

ბერლინი. 13 ნოემბერი. კარი ცდილობს გამოსვლის პასუხისმგებლობა დააკისროს ჰიტლერს. ოფიციალურათ აღნიშნავენ, რომ ჰიტლერმა აიძულა კარი დათანხმებოდა გამოსვლაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მოკვლით.

ორი ფრონტით.

ვენა. 13 ნოემბერი. მიუნხენიდან იტყობინებიან, რომ კარის ცდილობს შეურიგდეს ფაშისტურ ტევტონურ წრეებს ერხარდტის საშუალებით. კარის პრესა აცხადებს, რომ კარი არ ფიქრობს გადადგომას და მომავალშიაც არ გადაუხვევს თავის წინანდელ პოლიტიკას.

ფაშისტებს შორის სრული განხეთქილებაა.

ბერლინი. 13 ნოემბერი. მიუნხენის ამბების გამო ფაშისტებს შორის სრული განხეთქილებაა.

ჰიტლეროველები კვლავ აწყობენ კარის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. მეორე მხრით, კარის განკარგულებით, მიუნხენის უნივერსიტეტი დახურულ იქნა გამოურკვეველ დრომდე, რადგანაც სტუდენტები განუწყვეტლივ მართავდენ კარის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს.

[illegible] ასეთი მხსნელები.

ბერლინი. 13 ნოემბერი. ლუდენდორფმა განაცხადა, რომ ის არ იტყვის უარს ტევტონურ მოძრაობაში მონაწილეობაზე, რადგანაც მხოლოთ მას შეუძლია გერმანიის ხსნა.

ორი მეგობარი.

ბერლინი. 15 ნოემბერი. „ვესბადენერ ლოკალ ანციგერ"-ი იუწყება, რომ ერხარდმა კარის განკარგულებაში გადასცა თავისი თავი, მაგრამ დაბეჯითებით მოითხოვა აჯანყებაში მონაწილეთა ამნისტია და ნაციონალისტურ კავშირისათვის ახალი სარდლობის ხელმძღვანელობით გაერთიანების დასტური.

შეტაკება ფაშისტ-სტუდენტებთან.

ბერლინი. 15 ნოემბერი. მიუნხენში რეიხსვერს შეტაკება მოუხდა სტუდენტებთან, რომლის დროსაც დაიჭრა ცნობილი პროფესორი ზაურბრუხი.

იუდა ისკარიოტელები

საქსონიის სოციალ-დემოკრატების უსინდისობა.

ბერლინი. 13 ნოემბერი. საქსონიის მუშათა მთავრობის ყოფილ მინისტრის ბეტხერის საფინანსო პოლიტიკის გარჩევამ მწვავე კამათი გამოიწვია საქსონიის ლანდტაგში.

დემოკრატებმა, სოციალ-დემოკრატები და აგრეთვე, ფინანსთა ახალი მინისტრი გელდი აბრალებდნენ ბეტხერს ლანდტაგის დაუკითხავათ 800 მილიარდი მარკის დახარჯვას. უმუშევართა დახმარებისათვის.

ბეტხერმა განაცხადა, რომ მან არ შეიძლო მოეთმინა მუშათა შიმშილით ხოცვა.

ბურჟუაზიულ პარტიების წინადადებით და სოციალ-დემოკრატების თანხმობით ლანდტაგმა დანიშნა სპეციალური კომისია ამ საკითხის გამოსაძიებლათ, რამაც ღრმა აღშფოთება გამოიწვია კომუნისტების მხრით.

მთავრობიდან გასულ კომუნისტ-მინისტრების დეკლარაცია.

ბერლინი. 13 ნოემბერი. ტიურინგიის მთავრობიდან გასული კომუნისტ-მინისტრები თავის დეკლარაციაში აღნიშნავენ, რომ დღიდან კაბინეტში შესვლისა კომუნისტები მთელის თავის ენერგიას ანდომებდენ ფაშიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის მთლიან ფრონტის შექმნას და აგრეთვე ბრძოლას მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ცდა, შავრაზმელ გენერლების მოსამსახურე სოციალ-დემოკრატ-ბელადების წყალობით უნაყოფო დარჩა. ტიურინგიაში რეიხსვერის შემოსვლის შემდეგ სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა უარი თქვეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებაზე და მიჰყვეს ხელი ინტრიგებს თავისი კოლეგების—კომუნისტების წინააღმდეგ, იმის მაგიერ, რომ დაერაზმათ მუშები ბავარიასთან საბრძოლველათ, სოციალ-დემოკრატიულ მინისტრებმა რეიხსვერი მოიწვიეს. თავისი ფლიდობით და სიმხდალით სოციალ-დემოკრატებმა მტრებს ჩაუდგენ ხელში ტიურინგია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სოციალ დემოკრატია გენერალ სექტის, შტრეზემანისა და სტინესის ხელის შემწყობია.

„ფორვერტს"-ი სცდილობს შეასუსტოს კომუნისტების დეკლარაციის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება და ამ მიზნით აქვეყნებს ტიურინგიის ყოფილ სოციალ-დემოკრატ—მინისტრების კონტრ-დეკლარაციას.

შავი ძალები „მუშაობენ"

არევ-დარევა ფაშისტურ ბანაკში.

ბერლინი. 13 ნოემბერი. ბავარიის „სამშობლოს დაცვის კავშირთა" უმრავლესობა კარს იწონებს, მაგრამ იმავე დროს მოითხოვს დაპატიმრებულ ჰიტლეროველთა განთავისუფლებას და ტევტონურ მოძრაობის დევნის შეწყვეტას.

ბავარიის სახალხო პარტია თანახმაა კარის ხელისუფლების დროებით დატოვებაზე.

ჩრდილოეთ გერმანიის ფაშისტებს შორისაც დიდი არევ-დარევაა. ტევტონურ პარტიის ბელადი გრაფე მოღალატეობას აბრალებს კარსა და ლოსოვს. ტევტონურ პარტიის მეორე ბელადი კი მწვავეთ იცავს კარს ჰიტლერის და ლუდენდორფის წინააღმდეგ.

ნაციონალისტები სრულიად იმიჯნებიან ჰიტლერის გამოსვლისაგან და ხაზგასმით აღნიშნავენ თავის სოლიდარობას კართან.

მრეწველებმა შეწყვიტეს ფაშისტებისადმი დახმარება.

ბერლინი. 15 ნოემბერი. აზრთა არევ-დარევის გარდა, ფაშისტების მდგომარეობა გაუარესდა კიდევ მით, რომ მრეწველებმა შეწყვიტეს მათდამი დახმარება, რადგან ფაშისტურ აჯანყებას მრეწველებმა არჩიეს ძალაუფლების ლეგალურათ მოპოება.

რუსეთის თეთრგვარდიელებს მიბაძავენ.

ბერლინი. 13 ნოემბ. რეიხსვერმა ცელენდორფი დაიკავა და დაპატიმრა იქ 30 კომუნისტი. შტეინბახში ჯარისკაცებმა დახვრიტეს 70 წლის მოხუცი, რომელმაც კარი არ გაუღო, რეიხსვერის ჯარისკაცებს, რომლებიც მოვიდენ მისი შვილის შესაპყრობათ.

კომუნისტურ გაზეთის რედაქტორის დაპატიმრება.

ბერლინი. 13 ნოემბ. ერფურტში დაპატიმრებულია ადგილობრივ კომუნისტურ გაზეთის რედაქტორი.

კომუნისტ-დეპუტატის დაპატიმრება.

ბერლინი 13 ნოემბ. დაპატიმრებულია საქსონიის ლანდტაგის კომუნისტ-დეპუტატი შნელერი. მას ებრალება გენერალურ შტაბის რუქის შენახვა, რომელზედაც ნაჩვენებია რეიხსვერის ნაწილთა ადგილმდებარეობა. შნელერმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ლანდტაგის პრეზიდენტს.

ლეგალური სეპარატიზმის გამარჯვება

„რეინის დამოუკიდებელი სახელმწიფო".

ბერლინი. 13 ნოემბ. იმ თათბირმა, რომელსაც დაესწრენ ცენტრალური მთავრობის და დაპყრობილი ოლქების წარმომადგენლები და აგრეთვე გერმანიის ყველა სახელმწიფოების პრემიერები გარდა ბავარიის პრემიერისა, დაადგინა, რომ საფრანგეთმა თვით უნდა იზრუნოს დაპყრობილ ოლქებზე. **ამიტომ ცენტრალური მთავრობა 15 ნოემბრიდან სწყვეტს ოკუპაციაქმნილ ოლქებში უმუშევართათვის დახმარების მიცემას.**

ამ თათბირზე გადაწყდა აგრეთვე რეინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გერმანიის ფარგლებში.

რეინის რესპუბლიკას ეყოლება საკუთარი პარლამენტი, ექნება საკუთარი რკინისგზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო და აგრეთვე საკუთარი ბანკი, რომლის ძირითადი კაპიტალი უნდა უდრიდეს 100 მილიონ ოქროს მარკას. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს რეინის პროვინციალური ლანდტაგის ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა და ნაციონალისტებმა.

სოციალ-დემოკრატები გერმანიის მთავრობის პოლიტიკის შეცვლაში ხედავენ საფრანგეთთან ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს.

კომპარტია ამ ფაქტში ხედავს ლეგალური სეპარატიზმის და მძიმე ინდუსტრიის გამარჯვებას. გაიმარჯვეს სტინესმა, ოტტო ვოლფმა და სხვებმა, რომლებიც უკვე აწარმოებდენ მოლაპარაკებას გენ. დეგუტთან. რეინის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, თუ გინდ გერმანიის რესპუბლიკის ფარგლებში, მაინც ნიშნავს პუანკარეს უდიდეს გამარჯვებას.

რეინის პროვინციალურ ლანდტაგში კომფრაქციამ გაილაშქრა ლეგალური სეპარატიზმის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მთლიანობას.

მთავრობა „ბრძოლის ველზე"

მღელვარება მანჰეიმში.

ბერლინი. 13 ნოემბერი. მანჰეიმში შიმშილობის ნიადაგზე ადგილი აქვს მღელვარებას. დარბეულია სასურსათო მაღაზიების მთელი რიგი.

დაპატიმრებანი არალეგალური გაზეთის გავრცელებისათვის

ბერლინი. 13 ნოემბერი. ბერლინში, ეიზენახში და ტანბახში (უკანასკნელი ორი ქალაქი ტიურინგიაშია) დააპატიმრეს მრავალი კომუნისტი, უმთავრესათ პარტიული არალეგალური გაზეთის გავრცელებისათვის.

„პუტჩ"-ის მონაწილეთა პასუხისგებაში მიცემა.

ბერლინი. 13 ნოემბერი. გერმანიის მთავრობამ დაავალა რესპუბლიკის პროკურორს აღძრას საჩივარი ჰიტლერის აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალათ ედებათ მთავრობის და აგრეთვე პრეზიდენტის ჩამოგდების განზრახვა.

მენშევიკები კმაყოფილდებიან სიტყვიერი პროტესტებით.

ბერლინი. 13 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ენერგიული პროტესტით გამოვიდეს ბავარიისადმი გერმანიის მთავრობის პასიური პოზიციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ რეპრესიების გაუქმებას პრესის წინააღმდეგ, ლუდენდორფის საწინააღმდეგოთ ენერგიულ ზომებს და ყველა შეიარაღებულ ორგანიზაციების დაშლას.

სტინესი „ემზადება"

სტინესი აბამს თავის ქსელს.

ნიუიორკი. 13 ნოემბერი. მართლდება ცნობა სტინეს-სინკლერის მოლაპარაკებას შესახებ, რომელსაც მიზნათ აქვს ნავთის ახალი ტრესტის ორგანიზაცია.

ვენა 13 ნოემბერი. ბელგრადის „ტრიბუნა"-ს ცნობით სტინესი რამოდენიმე ამერიკელ კაპიტალისტებთან ერთად სცდილობს მიიღოს კონცესია სამხრეთ-სლავიაში ღუმელების აშენებაზე, რისთვისაც მას გადადებული აქვს 125 მილიონი დოლარი ,

დაპყრობილ ოლქებში

2,500,000 უმუშევარი.

ბერლინი. 13 ნოემბერი **საოკუპაციო ოლქებში 2 ნახევარი მილიონი უმუშევარი ირიცხება.** თითქმის ყველა დანარჩენი მუშები სრულს დროს არ მუშაობენ. ნახევარმა მოსახლეობამ დახმარება მიიღო გერმანიის მთავრობისაგან.

ისევ სიტყვიერი პროტესტი მენშევიკების.

ბერლინი. 13 ნოემბერი. გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა პროტესტი განაცხადა უმუშევართათვის დახმარების მოსპობის გამო საოკუპაციო ოლქებში.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ვისი ფულებია?

ლონდონი. 15 ნოემბერი. „ინტანსიჟან"-ის ბერლინელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, ვითომც ერთის ჯგუფს ამერიკელ, ინგლისელ და ჰოლანდიელ ბანკირებისას განზრახვა ჰქონდეთ პოტსდამში სახელმწიფო გადატრიალებისათვის ფინანსიური დახმარება გასწიონ, რათა ყოფილმა კრონპრინცმა ხელისუფლება ჩაიგდოს ხელში. კორესპონდენტის სიტყვით, კრონპრინცის აგენტებმა უკვე მოახერხეს რეიხსვერის გადმობირება. კრონპრინცი პირადად ჩაუდგება სათავეში ქვეითა დივიზიას ბერლინზე დაუყოვნებელი გალაშქრებისათვის. ამავე დროს კრონპრინცი დაარწმუნეს, რომ არც ერთი სხვა დივიზია არ გამოვა იმის წინააღმდეგ. საფრანგეთის ცნობებით, გერმანიის ქარხნებში სასწრაფოთ ამზადებენ სამარ მასალას.

საფრანგეთის პრესა აღელვებულია კრონპრინცის დაბრუნებით.

ლიონი. 13 ნოემბ. „პტი-პარიზიენ"-ი მკაცრ კრიტიკას უკეთებს გერმანიის პასუხს ელჩთა კონფერენციის ნოტაზე კრონპრინცის დაბრუნების შესახებ. „მატენ"-ი სწერს: „კრონპრინცი ერთი პირველთაგანია იმ პირთა რიცხვში, რომლებიც დამნაშავენი არიან ომის გამოცხადებაში და ამიტომაც პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული". „ეკო დე პარი"-ს მოყავს ვერსალის ხელშეკრულების ის პარაგრაფი, რომლის ძალით ომის წარმოების საერთაშორისო წესების დარღვევაში დამნაშავე სამხედრო პირები მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე.

ამერიკა არ დაუჭერს მხარს მოკავშირეებს.

ნიუ იორკი. 13 ნოემბ. ვაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობით ამერიკა არ შეუერთდება მოკავშირეთა პროტესტს გერმანიაში მონარქიის აღდგენის წინააღმდეგ, რადგან ამერიკას ხელი არ მოუწერია ვერსალის ხელშეკრულებისათვის.

ამერიკის სესხი გერმანიას.

ნიუ-იორკი. 13 ნოემბ. ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს უახლოეს მომავალში შეიტანოს ამერიკის კონგრესში კანონ-პროექტი გერმანიისათვის კრედიტის გაღების შესახებ. საკრედიტოთ განზრახული თანხა,—150 მილიონი დოლარი,—ეძლევა გერმანიას ამერიკაში სურსათის შესყიდვისათვის.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

სამოქალაქო მოჩივანის დიკერის სიტყვა.

ლოზანა. 14 ნოემბ. დასრულდა მოწმეების დაკითხვა. სამოქალაქო მომჩივანმა დიკერმა ხაზი გაუსვა პროცესის ისტორიულ მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ ვოროვსკი სარგებლობდა დიპლომატიური ხელუხლებლობით, მას ჰქონდა აგრეთვე შვეიცარიის მთავრობისაგან შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის ვიზა.

დიკერი ვოროვსკის მკვლელობაში მთავარ დამნაშავეთ სთვლის პოლუნინს, მეფის ოფიცერს კონრადს, **რომელიც ინტელექტუალურათ დაბალ საფეხურზე დგას, მხოლოდ იარაღია პოლუნინის ხელში.**

შემდეგ დიკერი მიმართავს პოლუნინს და ეუბნება: „თქვენ მშიშარა ხართ, მკვლელობამდი **სამი დღის წინ თქვენ ქუჩაში შეხვდით ვოროვსკის, მაგრამ ვერ გაბედეთ ხელი გეხლოთ** მისთვის და კონრადი გაგზავნეთ მის მოსაკლავად. ეს ფაქტი მძიმე ლოდათ დააწვება თქვენს სინიდისს".

დიკერი ახასიათებს კონრადს, როგორც ცინიკს. ის კითხულობს კონრადის დაშიფრულ წერილს ცოლის სახელზე, რომელშიც ის დასცინის ვოროვსკის გვამს და ატყობინებს მას, რომ **ამზადებს ახალ პოლიტიკურ მკვლელობას.**

დიკერი ზიზღით იხსენიებს შვეიცარიის პრესის საქციელს, რომელმაც გააფთრებული კამპანია დაიწყო ვოროვსკის წინააღმდეგ და ხატავს რუსეთის რევოლიუციის ნამდვილ სურათს. „რუსეთის რევოლიუცია,—სთქვა დიკერმა,—აქ დამნაშავის სკამზე დასმას უპირებდინო". დიკერი საჭიროდ სთვლის, რომ შვეიცარია შეურიგდეს ს. ს. რ. კ. და თავის სიტყვას ამთავრებს ჩლენოვისადმი მიმართვით:

„როცა თქვენ დაბრუნდებით რუსეთში, უამბეთ იქ, თუ როგორ ვიცავდი მე რუსეთის რევოლიუციას. ჯილდოთ გთხოვთ მხოლოდ ერთს: თუ მკვლელი გამართლებული იქნა, რუსეთში მცხოვრებ შვეიცარიელების მიმართ ნუ მიმართავთ ნურავითარ რეპრესიებს".

დიკერის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სამოქალაქო მოჩივანის ჩლენოვის სიტყვა.

დიდი სიტყვა წარმოსთქვა სამოქალაქო მომჩივანმა ჩლენოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ შვეიცარიის სასამართლოს არა აქვს უფლება გაასამართლოს საბჭოთა რუსეთი: ჩლენოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთი პროცესზე წარმოდგენილია კერძო ვექილით, მაგრამ მის ზურგს უკან სდგას მრავალ მილიონიანი რუსეთის ხალხი.

საბჭოთა მთავრობამ,—სთქვა ჩლენოვმა,—დასაჯა ჩეკის ის მოსამსახურეები, რომლებმაც ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინეს, თეთრგვარდიელები კი ყოველთვის უარყოფდენ თავიანთ დანაშაულს. რუსეთის ხალხი მზად არის გადაიტანოს ახალი გაჭირვებები, მაგრამ **არასოდეს არ დაუშვებს თეთრგვარდიელების დაბრუნებას; რუსეთი ღარიბია, მაგრამ ის უკვე აღორძინების გზაზეა დამდგარი.** ნაფიცმა მსაჯულებმა არ უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ ანტისაბჭოთა ინფორმაციით. დემონზის, კინგის, ერიოს და ნანსენის განცხადებები ნათლად ამტკიცებენ, რომ წითელი ტერორი თეთრი ტერორის შედეგი იყო. **თეთრგვარდიელებმა რუსეთი ანტანტას მიჰყიდეს** კონრადის ვერ შევადარებთ ურიცკის მკვლელებსაც კი, რადგან ისინი სხვა დროს და სხვა პირობებში მოქმედებდნენ. ისინი საბჭოთა რუსეთის მტრები იყვნენ, მაგრამ არ იყვნენ ზიზღის ღირსი, რადგან მათ სიცოცხლე განწირული ჰქონდათ, კონრადის კი არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

ჩლენოვს მოყავს მენშევიკების და ესერების აზრი, რომლებმაც გაკიცხეს **კონრადის დანაშაული.** ვოროვსკის მოკვლას არა გამოწვევია რეპრესიები ს. ს. რ. კ. მხრივ, მაგრამ თუ ვოროვსკის გამართლებენ, საბჭოთა რუსეთი ამას არ აპატიებს.

შვეიცარიელ ვექილის მენიენის სიტყვა.

შვეიცარიელმა ვექილმა მენიენმა, რადიკალური პარტიის წევრმა „საძაგლობა" უწოდა მკვლელობას.

ვოროვსკის მკვლელობა—მახვილის ჩაცემაა შვეიცარიისათვის. პოლუნინს მენიენი უწოდებს საზარელ ჯაშუშს.

„შვეიცარიაა,—ამბობს მენიენი,—არ უნდა იყოს ადგილი, სადაც უცხოელები სჭრიან დავას ურთიერთ შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ერთ მხარეზე დგას ემიგრანტების ჯგუფი,—მეორეზე კი მრავალმილიონიანი ერი, რომელიც ენერგიულ აღმშენებლობით მუშაობას ეწევა".

მენიენმა განუმარტა მსაჯულებს მკვლელობის აზრი და შვეიცარიის მთავრობის პრესტიჟის აღსადგენათ მოითხოვა მკვლელის დასჯა.

რუსეთი და ევროპა

მხოლოდ საკავშირო რესპუბლიკის ცნობაშია ხსნა

ლონდონი. 13 ნოემბერი. მუშათა პარტიის ბელადმა კლაინომ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვის დროს განაცხადა, რომ ვერავითარი საბაჟო ტარიფი ვერ აღადგენს ვერც სესხს და ვერც საერთაშორისო კომერციულ ნდობას, ხელს ვერ შეუწყობს ევროპის ვალიუტის განმტკიცებას. **მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ცნობასა და რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას შეუძლიან ფართო გასაქანი მისცეს ალებ-მიცემობის აღორძინებასაო,— ასე დაასრულა კლაინომ თავისი სიტყვა.**

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

პროტესტები „ბერძნების ძალმომრეობის" წინააღმდეგ

ანგორა. 13 ნოემბ. საგარეო საქმეთა კომისარმა პროტესტით მიმართა ანტანტის სახელმწიფოებს ბერძნების ძალმომრეობის გამო მუსულმანთა მიმართ.

კონსულის დანიშვნა სალონიკში.

ანგორა. 13 ნოემბ. ოსმალეთმა თავისი გენერალური კონსული დანიშნა სალონიკში.

უცხოელ სპეცების მოწვევა

ანგორა. 13 ნოემბ. ეკონომიის კომისარმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას მრავალი უცხოელი სპეციალისტ-ეკონომისტი.

შვეიცარიის ფინანსისტები სესხს სთავაზობენ ოსმალეთს.

ანგორა 13 ნოემბ. შვეიცარიის ფინანსისტები სესხსა სთავაზობენ ოსმალეთის მთავრობას ანატოლია-ბაღდადის რკინის გზის გამოსასყიდად.

შორეული აღმოსავლეთი

ბრძოლა კორეელთა მოძრაობასთან.

ტოკიო. 12 ნოემბ. 20 ნოემბერს გაიმართება თათბირი კორეის გენერალ-გუბერნატორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზების და მანჯურიაში იაპონიის კონსულების მონაწილეობით. თათბირმა უნდა გამოიმუშავოს კორეის რევოლიუციონურ მოძრაობასთან ბრძოლის ზომები.

ტოკიოში დაატუსაღეს კორეის უნივერსიტეტის პროფესორი იოისი, რომელსაც, ოფიციალური ცნობებით, აღმოაჩნდა დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა.

სხვადასხვა

საბერძნეთი

პარიზი 13 ნოემბერი. ათენიდან იტყობინებიან, რომ რესპუბლიკანელები აძლიერებენ არმიას, ფლოტს და სადგურის დამცველ რაზმებს. მონარქისტები არ მოქმედებენ.

საფრანგეთი

შეთანხმება მოკავშირეებსა და გერმანიას შორის

პარიზი 13 ნოემბერი. მაინციდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა გერმანელებთან ერთად შეიმუშავეს სარკინისგზო მიმოსვლის შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულების პროგრამა.

ოსმალეთი

მეჯლისში

ანგორა. 13 ნოემბერი. მეჯლისმა დაამტკიცა კანონ-პროექტი ღარიბ გლეხობისათვის სათესლე სესხის მისაცემად 2 მილიონ ლირის გაღების შესახებ.

ნორვეგია

ნორვეგიის ახალგაზრდათა კომკავშირი ერთგულია კომინტერნის.

მოსკოვი. 13 ნოემბ. ახალგაზრდობის კომინტერნის ალმასკომმა მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნორვეგიის ახალგაზრდობის კომკავშირის გაფართოებულმა პლენუმმა, განიხილა რა საკითხი ნორვეგიის კომპარტიაში მომხდარ განხეთქილების შესახებ, ხმის დიდი უმრავლესობით, წინააღმდეგ ერთისა, დაადგინა დარჩეს ერთგული კომინტერნისადმი და ნორვეგიის კომპარტიამ იცნოს კომინტერნის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს შეფლიო.

უცხოეთის ცხოვრება

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციის მუშაობის ანგარიში

ლონდონი. 14 ნოემ. გამოქვეყნდა ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციის მუშაობის ანგარიში. კონფერენციას ჰქონდა 15 პლენარული სხდომა. ანგარიში ნათელჰყოფს კონფერენციის მონაწილეთა აზრთა გაცვლა-გამოცვლას მრავალ საკითხის გარშემო და მოწმობს, რომ კონფერენციის დეტალურ ყოველმხრივი გარჩევის საგანს წარმოადგენდა არა მარტო მთავარი საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, არამედ მრავალი სხვა მისგან გამომდინარე საკითხებიც.

საერთაშორისო საკითხში ინგლისის მთავრობის პოლიტიკის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ, კონფერენციამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ევროპის წონასწორობის აღდგენა შესაძლებელი იქნება, თუ ამერიკა თანამშრომლობას გაუწევს ევროპას; ხოლო თუ ამერიკასთან თანამშრომლობის გეგმა არ განხორციელდა, ამას მოყვება მსოფლიოს ეკონომიური გადაგვარება. კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება გერმანიის დაქუცმაცებისაკენ, უნდა განხილულ იქნეს, როგორც გერმანიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულების დარღვევის ცდა, რომელიც ეწინააღმდეგება მოკავშირეთა ინტერესებს და აფერხებს გერმანიისგან მოკავშირეთა ვალების მიღებას.

კონფერენციამ საჭიროთ ჩასთვალა, აგრეთვე, იმ ვალდებულებების პროგრესიული შესრულება, რომლებიც ინგლისმა იკისრა ვაშინგტონის ხელშეკრულების ძალით.

შემდეგ კონფერენციამ აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მთავრობის ურთიერთობა იაპონიასთან მომავალში არ იქნება იმ დამოკიდებულებაზე ნაკლებ გულწრფელი ან მეგობრული, რომელიც არსებობდა მაშინ, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს წერილობითი კონვენცია აკავშირებდა.

ერთა ლიგის შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ კონფერენციის საერთო აზრით ინგლისის დომინიონებმა მხარი უნდა დაუჭირონ ერთა ლიგას.

კონფერენციამ გამოიტანა, აგრეთვე, რეზოლიუცია საერთაშორისო შეთანხმებების დადების, მათი ხელის მოწერის და რატიფიკაციის წესრიგის შესახებ. რეზოლიუცია ფრიად საჭიროთ სთვლის ყურადღების მიქცევას იმაზე,—საზიანოა თუ არა რომელიმე შეთანხმება ბრიტანეთის იმპერიის ამა თუ იმ ნაწილისათვის.

კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპერიის ცალკე ნაწილების დაცვის და მათ შორის თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების საკითხს. ამ მხრივ, კონფერენციის აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ამა თუ იმ ნაწილის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ მდგომარეობას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესი.

პარიზი. 14 ნოემბერი. ბურჟეს მუშების მიერ აშენებულ სახალხო სახლში გაიხსნა შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესი. კონგრესს დაესწრო 400 დელეგატი, რომელთაც აქვთ 1,300 მანდატი.

კონგრესმა უარჰყო საალმშენებლო მუშების კავშირის წარმომადგენლის, ლეკუნის წინადადება; ლეკუანი უსაყვედურებდა კონგრესის უმრავლესობას იმას, რომ ისინი სცდილობენ განხეთქილება გამოიწვიონ კონფედერაციაში.

ხმების დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა, მონმუსოს მიერ წაკითხული, კონფედერაციის ბიუროს ფორმულა, რომელიც გამომუშავებული იყო სენტ-ეტიენის რეზოლიუციის საფუძველზე.

გაცხარებული კამათი გამოიწვია სინდიკალიზმის დაცვის კომიტეტის წარმომადგენლის, მარი გიიოს მოხსენებამ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ კომიტეტს მიზნათ აქვს დასახული დაიცვას პროფესიონალური მოძრაობა პოლიტიკურ პარტიების გავლენისაგან.

დელეგატი ბრუშუ უსაყვედურებდა მონმუსოს იმას, რომ ის სცდილობს განხეთქილება გამოიწვიოს კონფედერაციაში, მან პროტესტი განაცხადა მოქმედების კომიტეტების მოღვაწეობის წინააღმდეგ და წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ კონგრესმა ხელი გაუწოდოს გენერალურ რეფორმისტულ ფედერაციას.

დიდის უმრავლესობით მიღებულ იქნა მონმუსოს მიერ წაკითხული მიმართვა პროფინტერნისადმი, რომელიც ხაზს უსვამს კომუნისტების სიმტკიცეს და აკრიტიკებს ანარქოსინდიკალისტების პოზიციებს.

უმცირესობის ლიდერმა, ლარტინგმა განაცხადა, რომ თუმცა კონფედერაცია სავსებით იმყოფება კომპარტიის გავლენის ქვეშ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, უმცირესობამ მაინც გადაწყვიტა დარჩეს კონფედერაციაში.

ცალკე პროფკავშირების ყრილობაზე, რომელიც შესდგა შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესის გახსნამდი ბურჟეში, კონფედერაციის უმრავლესობის ფორმულას ხმა მისცა კავშირების უმრავლესობამ

„ძირს ომი, გაუმარჯოს ამნისტიას".

პარიზი. 14 ნოემბერი. საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებულ დროებით ზავის წლის თავის აღსანიშნავათ, შრომის სპორტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო დიდი სპორტიული დღესასწაულები, რომლებსაც დაესწრო 10,000 კაცი.

მიტინგზე, რომელიც შესდგა დღესასწაულის შემდეგ, გამოვიდნენ ინგლისის კომუნისტი ნიუბოლდი, კაშენი, ვაიანი და კუტიურიე, რომლებმაც **გაკიცხეს პუანკარეს ნაციონალისტური პოლიტიკა და მიესალმნენ გერმანიის რევოლიუციას. დღესასწაული დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით.**

პარიზში შესდგა გრანდიოზული მანიფესტაციები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა, სინდიკალისტებმა და ომში ყოფილ მონაწილეთა კავშირმა. მანიფესტანტებმა გაიარეს ბალები ყვირილით: „ძირს ომი, გაუმარჯოს ამნისტიას". პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭირეს რამოდენიმე მანიფესტანტი, დივიზიის კომისარი და მუნიციპალურ პოლიციის დირექტორი, გიშარი.

37 შეკითხვა.

პარიზი. 14 ნოემბერი. სენატში და პარლამენტში, რომელნიც უნდა გაიხსნან ახლო მომავალში, შეტანილია 37 შეკითხვა. მათ შორის კაშენის შეკითხვა რურის ოკუპაციის შედეგების შესახებ, კომუნისტურ დეპუტატის ბერტონის შეკითხვა საერთო ამნისტიის შესახებ და ლაფონის მატეუსა და ნიკოლაის პროცესის შესახებ.

ფილიპინის კუნძულები დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

ნიუ-იორკი. 13 ნოემბერი. მანილიდან მიღებულ ცნობით ფილიპინის საკანონმდებლო კრებამ დაადგინა გაგზავნოს ვაშინგტონში წარმომადგენლები ფილიპინის დამოუკიდებლობის მოთხოვნილების წარსადგენად.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა დღეს 16 ნოემბერს.

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვათ საკითხი:

„კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის".

მოხსენებას უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგებისათვის გააკეთებს ამხ. **მიახნიკოვი** პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე.

დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუზენი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ბუდიონის მოგონებანი ყირიმის ლაშქრობაზე

მოსკოვი. 14 ნოემბერი. თეთრებისაგან ყირიმის განწმენდის 3 წლის შესრულების გამო, დღეს ამხ. ბუდიონიმ თავისი მოგონებანი გაუზიარა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებს ყირიმში მომხდარ სამარ-მოქმედებათა შესახებ: ოპერაციების ბედი წინდაწინვე გადასწყვიტა პერეკოპის ყელის აღებამ, რომელიც საუცხოვო სიმაგრეს წარმოადგენს. ეს სიმაგრე საფრანგეთის ინჟინრების ხელმძღვანელობით ააგეს თეთრგვარდიელებმა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამ ყელთან გვქონდა გააფთრებული ბრძოლები. მაგრამ ჩვენი ჯარის არაჩვეულებრივმა სიმტკიცემ და ვაჟკაცობამ თავისი გაიტანა. თეთრები წელში გატყდენ. ეს ყელი ხელთ ვიგდეთ. დაიწყო ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა; წითელი მხედრობა დაიძრა ყირიმის შუაგულისაკენ. თავზარდაცემული თეთრები უწესრიგოდ იხევდნენ ყირიმის ზღვის პირის ქალაქებისაკენ საზღვარგარედ გასაქცევად. სიმფეროპოლში შესვლის დროს, იქ დაგვხვდა ბევრი თეთრები, რომელნიც იარაღიანად დაგვნებდნენ და განაცხადეს, რომ ემორჩილებიან რევკომს. 14 ნოემბერს, ამხ. ბუდიონიმ პირველი დეპეშა გაგზავნა ცენტრში, რომლითაც აცნობებდა რომ ყირიმი განწმენდილია თეთრებისაგან და იქ გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება.

ლენინის სახელობის ქუჩა.

პეტროგრადი. 14 ნოემბერი. ქუჩას, სადაც კერენსკის მთავრობის დროს სცხოვრობდა ამხ. ლენინი, უწოდეს ლენინის ქუჩა.

ნევროლოგების და ფსიქიატრების თათბირი.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. გუშინ გაიხსნა სრულიად რუსეთის თათბირი ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის საკითხების განსახილველად. წაიკითხეს მოხსენებანი საბჭოთა ფსიქიატრიის დანიშნულებაზე, ალკოჰოლიზმზე და ნარკოტიზმზე. ომიანობამ და შიმშილობამ ხელი შეუწყო ნერვიულ და სულიერ ავადმყოფობის გავრცელებას.

ჩვენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებულია სულით ავადმყოფთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3—4 პროც. ნერვო-ფსიქოლოგიური ავადმყოფობანი, უმთავრესად, ალკოჰოლიზმის, სიფილისის და გადაგვარების ნიადაგზე ვრცელდება. საჭიროა გეგმიანი მუშაობა წინასწარი ზომების მისაღებად, ფსიხოპატიისა და ნერვიულ ავადმყოფობათა პირველი ფორმის დროსვე სამკურნალო დახმარების გასაწევად. ასეთი მუშაობის ცენტრად შეიძლება იყოს დისპანსერები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფკავშირებთან. მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების ნარკოტიული სექციის გამგემ ამხ. შოლომოვიჩმა განაცხადა, რომ მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილებამ უკვე დაიწყო ამ დარგში საცდელი მუშაობა, რომელსაც აწარ-

საკავშირო ცაკის მესამე სესია

ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების შესახებ

ამხ. ენუქიძის მოხსენება.

გავიდა ოთხი თვე იმის შემდეგ, როცა ჩვენ ს. ს. რ. კ. ცაკის მეორე სესიაზე დავამტკიცეთ ჩვენი კავშირის კონსტიტუცია და ათი თვე იმის შემდეგ, რაც ჩვენ შევქმენით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ეს ძლიერ მცირე დროა იმისათვის, რომ გვქონდეს როგორც კონსტიტუცია, ისე კონსტიტუციისაგან გამომდინარე დებულებები. ჩვენ, როგორც ჩვენს კონსტიტუციას, ისე დებულებებს ჩვენი ხელისუფლების ცალკე ორგანოების შესახებ ვიმუშავებდით და მომავალშიც გამოვიმუშავებთ იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

საბჭოთა კონსტიტუციის ძლიერება.

საბჭოთა კონსტიტუციის და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების და საკავშირო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების საკავშირო რესპუბლიკების ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ყველა დებულებების ძლიერება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ყოველთვის ვხელმძღვანელობდით გამოცდილებით და გამოცდილების ნიადაგზე ვაკეთებთ ამა თუ იმ დასკვნებს, შესწორებებს და ცვლილებებს ჩვენს საკანონმდებლო დებულებებში.

ბურჟუაზიული უფლება და ჩვენი უფლება.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული უფლებისა, ჩვენი უფლება და ჩვენი კანონები არ არიან ურყევი, ერთხელ და სამუდამოდ დამყარებულნი, ვინაიდან ჩვენი ძალაუფლების საფუძველი, მთავრობის შემადგენლობა და მთავრობის ბაზა სულ სხვა არის, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. საკავშირო რესპუბლიკების ურთიერთობაც დამყარებულია სულ სხვა ნიადაგზე, ყველა რესპუბლიკების მშრომელი მასების თანამშრომლობის ნიადაგზე და არა ერთი რომელიმე უფრო ძლიერი ერის მიერ უფრო სუსტი ერის დამორჩილებაზე და ექსპლოატაციაზე.

კოლონიზაცია და ს. ს. რ. კ. პოლიტიკა

თქვენ,—ამბობს ამხ. ენუქიძე,—ალბათ ბევრი წაგიკითხავთ და გაგიგონიათ იმის შესახებ, რომ თითქო ცენტრალურ მთავრობას, რომელიც რ. ს. ფ. ს. რ. მრავალრიცხოვან ველიკოროსულ მოსახლეობას ეყრდნობა, აქვს ტენდენცია და მორჩილოს სხვა ერები ან მოახვიოს მათ თავისი დადგენილებები, რომლებიც ხშირათ ეწინააღმდეგება პატარა საკავშირო რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

მაგრამ ის, ვინც ჩაუფიქრდება კანონპროექტებს და უკვე გამოცემულ კანონებს, დაინახავს, რომ ეს მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

სხვადასხვა ჯურის ეკონომისტების, განსაკუთრებით ესერების და მენშევიკების რიგებიდან, უყვართ ლაპარაკი თითქო რ. ს. ფ. ს. რ. საკავშირო რესპუბლიკებში აწარმოებს კოლონიზატორულ პოლიტიკას. მაგრამ ვინც ცოტათი მაინც კი იცნობს კოლონიზაციის ბუნებას და ურთიერთობას კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის კლასიკურ კოლონიალურ სახელმწიფოებში, ის, რასაკვირველია, არ გაიზიარებს ამ მტკიცებას, რადგან ჩვენს პოლიტიკაში არ არის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც კოლონიზატორულ პოლიტიკას ახასიათებენ.

ძირითად ელემენტებს, რომლებიც ახასიათებენ კოლონიალურ სახელმწიფოს, წარმოადგენენ ის, რომ მეტროპოლია სამრეწველო მხრით უფრო მეტად არის განვითარებული, კოლონიები კი ნაკლებ. კოლონიებიდან მთელი ნედლი მასალა გააქვთ მეტროპოლიაში. შემდეგ, კოლონიებში ხალხის ფართო მასების მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე მეტროპოლიაში როგორც შრომის ხელფასის, ისე შრომის ხანგრძლივობის და აგრეთვე უფლებრივ და სხვა მხრივ.

არავითარი ამის მსგავსი ჩვენში არ არის და რომ ავიღოთ რ. ს. ფ. ს. რ. ურთიერთობა სხვა რესპუბლიკებთან, სულ სხვა სურათს დავინახავთ: ჩვენ დავინახავთ, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა საკავშირო რესპუბლიკებს შორის ემყარება ურთიერთ შორის შეთანხმებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური მთავრობა ერთნაირად არის დაინტერესებული ყველა საკავშირო რესპუბლიკებში როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარებაში და მისი ღონისძიებები ამ მიმართულებით როგორც რ. ს. ფ. ს. რ. შემადგენელ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ისე საკავშირო რესპუბლიკებში, ყველამ იცის.

მუშათა კლასის მდგომარეობა

რაც შეეხება მუშათა კლასის მდგომარეობას საკავშირო რესპუბლიკებში და რ. ს. ფ. ს. რ., განსხვავება აქ გამოწვეულია არა ცენტრალური მთავრობის პოლიტიკით, არამედ იმ პირობებით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდენ ბურჟუაზიული წყობილების და მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის წყალობით, რადგან თვითმპყრობელობისაგან ჩვენ მიერ მიღებული მემკვიდრეობა ჯერ არ არის სავსებით აღმოფხვრილი და, ეჭვს გარეშეა, ამა თუ იმ დაღს ასვამს მშრომელი მასების მდგომარეობას და მეურნეობის მდგომარეობას ჩვენი ახლანდელი საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ ნაწილებში. მაგრამ საკავშირო მთავრობის მთელი მისწრაფებები და მთელი მისი პოლიტიკა აშენებულია იმაზე, რომ პოლიტიკის სფეროში სავსებით დაცული იქნას რესპუბლიკების კავშირის სუვერენიტეტი. ეკონომიური საკითხების და ჩვენი მეურნეობის აღდგენის დარგში კი ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გადიდებული იქნეს მთელი კავშირის სამეურნეო ძლიერება.

რასაკვირველია, ამ მხრივ ბევრი შეცდომები იყო დაშვებული, ბევრი ნაკლი არის, მაგრამ ამ შეცდომების და ნაკლის გათვალისწინება და დანახვა გვაძლევენ ჩვენ რწმენას, რომ შემდეგში ეს შეცდომები გამოსწორებული იქნება.

საგარეო პოლიტიკა და წითელი არმია.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცენტრალური მთავრობის საგარეო პოლიტიკის დარგში, ჩვენი არმიის მოწყობის დარგში, ამ ხნის განმავლობაში საკავშირო რესპუბლიკებთან არ ყოფილა არავითარი უთანხმოება, არავითარი უკმაყოფილება. ზოგიერთი უკმაყოფილება და გაუგებრობა იყო სამეურნეო საკითხებში; ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ჩვენი რესპუბლიკა იმყოფება უდიდესი აღმშენებლობის პერიოდში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გადავდივართ ჩვენი მეურნეობის მოწესრიგებაზე, რომელიც ძლიერ შეარყია წარსულმა ბრძოლამ და ქვეყნის სიღარიბემ.

სახელმწიფო აპარატის შესახებ.

მომხსენებელი საჭიროთ სთვლის რესპუბლიკების კავშირის ცალკე ნაწილებს შორის ურთიერთობის უფრო უკეთ მოწესრიგებას. ჩვენში, ძალაუფლების უმაღლესი ორგანო, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც კი არ არის ჯერ ისე მოწყობილი, როგორც ამას მოითხოვს ძირითადი კანონი. მხოლოდ საბჭოების მომავალ ყრილობაზე, როცა ჩვენ შევქმნით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მთელი მისი ნაწილებით—საკავშირო და ერების საბჭოებს,—როცა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამ ორივე ნაწილს ეყოლება თავისი პრეზიდიუმები, რომლებიც სპეციალურად ადევნებენ თვალყურს ამა თუ იმ კანონპროექტების გატარებას საკავშირო მთავრობის ყველა ცენტრალურ ორგანოებში, როცა შეიქმნება უფრო სწორედ შედგენილი და ძლიერი აპარატი ყველა ამ კანონპროექტების განსახილველად, შესასწავლად და თავისი მუშაობის გამოცდილების გადასატანად საკავშირო რესპუბლიკებში, მაშინ, ეჭვს გარეშეა, ეს ურთიერთობა იქნება უფრო უკეთესი და არავითარ მნიშვნელოვან გაუგებრობას და უკმაყოფილებას ადგილი არ დაურჩება.

ამიტომ ის დებულებები, რომლებიც ახლა წარედგინება ს. ს. რ. კ. ცაკს, სახალხო კომისართა საბჭოს და საერთო დებულებები სახალხო კომისარიატების შესახებ, ეჭვს გარეშეა, ჩვენს კანონმდებლობაში შეიტანენ ბევრ ისეთ რამეს, რაც გააუმჯობესებს და გააუკეთესებს კავშირის ძალაუფლების ცენტრალური ორგანოების ურთიერთობას საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ ორგანოებთან.

ამხ. ენუქიძე თავისი მოხსენების შემდეგ ნაწილში ვრცლად ეხება ძალაუფლების ცენტრალური ორგანოების შესახებ შემოტანილი დებულებების ცალკე მუხლებს.

ს. ს. რ. კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოები.

ს. ს. რ. კ. ცაკის დებულება ანვითარებს ჩვენს ძირითად კანონს და იხილავს ცაკის ისეთ მხარეებს, რომლებიც ნათელყოფენ ერთის მხრით ურთიერთობას ცენტრალურ ორგანოებს (ცაკი, ცაკის პრეზიდიუმი, ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭო) შორის და, მეორეს მხრით, ამ ცენტრალური ორგანოების ურთიერთობას საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ ორგანოებთან.

ცაკის რწმუნება თავდება იმ მომენტიდან, როცა საბჭოების ახალი ყრილობა, შექმნის საკავშირო საბჭოს და დაამტკიცებს ერების საბჭოს შემადგენლობას.

ს. ს. რ. კ. ცაკის პლენარული და შეერთებული სხდომები.

მომხსენებელი განმარტავს კანონპროექტების სათანადო ორგანოებში გატარების წესს და კერძოთ ეხება ს. ს. რ. კ. ცაკის შეერთებულ და პლენარულ სხდომებს.

დებულებით ცაკის სხდომები შემდეგი წესით ხდება. საკავშირო ცაკის სესიის ჩვეულებრივი მუშაობა ხდება ცალ-ცალკე: ცალკე მუშაობს საკავშირო და ერების საბჭო. ს. ს. რ. კ. ცაკში შეტანილი თითეული კანონპროექტი ცალ-ცალკე უნდა იქნას განხილული და მიღებული საკავშირო საბჭოს და ერების საბჭოს მიერ. ამ ორი ორგანოების შეერთებული სხდომები ხდება იმ შემთხვევებში, როცა ამ ამა თუ იმ კანონპროექტის გამო წარმოიშობა უთანხმოება ამ ორ საბჭოს შორის. ამ უთანხმოებისათვის ბოლოს მოსაღებათ, სადაო კითხვა გადატანილი იქნება შემთანხმებელ კომისიაში და შემდეგ მას განიხილავს ს. ს. რ. კ. ცაკის ორივე ნაწილის შეერთებული სხდომა. და ბოლოს ხდება ცაკის პლენარული სხდომები.

განსხვავება შეერთებულ და პლენარულ სხდომებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შეერთებულ სხდომებზე ხმის მიცემა ამა თუ იმ საკითხის გამო ხდება ცალ ცალკე: ცალკე აძლევენ ხმას საკავშირო საბჭოს წევრები და ცალკე ერების საბჭოს წევრები. ამა თუ იმ კანონპროექტის მისაღებათ საჭიროა ცაკის როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილის უმრავლესობა. რაც შეეხება პლენარულ სხდომებს, აქ ხმის მიწოდება სწარმოებს ერთად და საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის დამორჩილება, რომ ეს არ მოხდეს, ყველა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შედიან საკავშირო ცაკის კომპეტენციაში გადაეცემა განსახილველად ცაკის ორივე ნაწილის ცალკე ან შეერთებულ სხდომებს.

პლენარულ სხდომებზე დაისმება მხოლოდ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის, ცაკის თავმჯდომარეების, ცაკის მდივანის, სახალხო კომისართა საბჭოს, მისი მოადგილეების და ათი კომისარიატის სახალხო კომისრების არჩევის საკითხი. იქვე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეტანილი იქნება ცაკის ამა თუ იმ წევრების ცაკის შემადგენლობიდან გამორიცხვის საკითხი. აი ის საკითხები, რომლებიც დებულების თანახმად შედიან პლენარული სხდომების კომპეტენციაში. კომისიის ზოგიერთი წევრების, კერძოთ კი ამხ. სკრიპნიკის მიერ, რომელსაც, თუ არ ვცდები შეუერთდა ბელორუსიის რესპუბლიკის წარმომადგენელი, შემოტანილი იყო წინადადება ცაკის პლენარული სხდომების კომპეტენციაში ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების შეტანის შესახებ, როგორიც არის მაგალითად ომის გამოცხადების, ზავის შეკვრის საკითხი, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, ან სხვა ფრიად მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხები. მაგრამ კომისიის უმრავლესობამ, აგრეთვე პარტიულმა კომისიამ, რომელიც სპეციალურად იხილავდა ამ დებულებას, ეს წინადადება გადაჭრით უარჰყო. ამ შემთხვევაში კომისიები სწორეთ იმით ხელმძღვანელობდენ, რომ ომისა და ზავის საკითხები, მთელი კავშირისათვის მნიშვნელობის მქონე საკითხები, ცალკე უნდა განიხილონ ცაკის ორივე ნაწილებმა და თუ ადგილი დაურჩება რაიმე უთანხმოებას, გადატანილი უნდა იქნან შეერთებულ სხდომაზე, სადაც, როგორც მე ვთქვი, ხმის მიცემა სწარმოებს სულ სხვანაირად ვიდრე ცაკის პლენარულ სხდომებზე.

საკავშირო საბჭო და ერების საბჭო.

დებულებაში არის სპეციალური თავი საკავშირო საბჭოს და ერების საბჭოს შესახებ. დებულებაში ჩამოთვლილია ცაკის ამ ნაწილების სხდომების წესი და აღნიშნავს, რომ მათი სხდომები იმართება მხოლოდ კავშირის ცაკის სესიის დროს, რომ ერთი სესიიდან მეორემდი არც საკავშირო და არც ერების საბჭოს სხდომები არ ხდება.

საკავშირო საბჭოს და ერების საბჭოს სხდომებზე ქვორუმი კანონიერია, თუ მათ ესწრება წევრების ერთი მესამედი. თითეულ საბჭოს კომპეტენციაში შედის პრეზიდიუმის შვიდი წევრის არჩევა. ძირითადი კანონის მიხედვით პრეზიდიუმი შესდგება 21 კაცისაგან, 7-7 კაცს ირჩევს ერების საბჭო და საკავშირო საბჭო, 7 კი ირჩევენ ორივე საბჭოს შეერთებულ სხდომაზე.

შემდეგ დებულება შეიცავს სათანადო ორგანოებში კანონპროექტების გატარების წესს. საკითხები, რომლებსაც იხილავს საკავშირო საბჭო, მიიღებიან თავისი ან ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმის საშუალებით, რომლებიც გადასცემენ განსახილველად და დასამტკიცებლად ერების საბჭოს; ასევე იქცევა ერების საბჭო, რადგან ამ საბჭოებს ცალკე და მათ პრეზიდიუმს. აქვთ საკანონმდებლო ინიციატივა. მათ დამოუკიდებლათ შეუძლიათ შეიტანონ საკითხები განსახილველათ სესიაზე; თუ ამა თუ იმ საკითხების გამო შეთანხმება არ იქნა მიღწეული, საკითხები გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას. აქვეა ნაჩვენები წესი, თუ როგორ უნდა გადაიცეს ეს საკითხები უკან საბჭოებში ან შეერთებულ სხდომაზე; თუ იქაც არ იქნა მიღწეული შეთანხმება, საკითხი ერთი რომელიმე საბჭოს მოხსენებით შეიძლება გადაეცეს საბჭოების ყრილობას.

დებულების ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ იმ კომისიებში, რომელსაც ირჩევს ერების საბჭო ამა თუ ის საკითხის გამო, სავალდებულოა იმ რესპუბლიკის წარმომადგენლის მონაწილეობა, რომლის საკითხი ირჩევა კომისიაში.

რაც შეეხება ხმის მიცემას ამ საბჭოებში, როგორც საკავშირო, ისე ერების საბჭოში მიღებულია ერთნაირი წესი, ე. ი ყველა საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით, ქვორუმისათვის, როგორც უკვე აღვნიშნე, საჭიროა საკავშირო საბჭოს და ერების საბჭოს წევრების ერთი მესამედის მონაწილეობა, როცა მათ ცალკე სხდომები აქვთ.

შემთანხმებელი კომისიები.

საკავშირო და ერების საბჭოს მოღვაწეობის შეთანხმების შესახებ შენიშვნების შემდეგ ამხ. ენუქიძე გადადის შემთანხმებელი კომისიების საკითხზე. შემთანხმებელი კომისიები ირჩევა ყველა ცალკე საკითხების გამო, კომისიების თავმჯდომარეებს ნიშნავს კავშირის ცაკის პრეზიდიუმი შემთანხმებელი კომისიის წევრთა ან არა წევრთა რიცხვიდან. იმ შემთხვევაში, როცა თავმჯდომარე დანიშნულია არა-წევრთა რიცხვიდან, კომისიაში ის სარგებლობს სათათბირო ხმით.

თუ შემთანხმებელ კომისიაში შეთანხმება არ იქნა მიღწეული, საკითხი გადაეცემა ორივე საბჭოს შეერთებულ სხდომას. დ გარეშე იმისა მოხდა თუ არა ამა თუ იმ საკითხის გამო შეთანხმება შემთანხმებელ კომისიაში, კომისიის ცალკე ნაწილებს მაინც შეაქვთ თავისი დადგენილება დასამტკიცებლად სათანადო საბჭოებში.

ამის შემდეგ კანონ-პროექტი გადაეცემა ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმს, რომელსაც უფლება აქვს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გამოაქვეყნოს ამ წესით მიღებული პროექტი.

კენჭის ყრა პირადი დასახელებით.

ცაკის პლენარული სხდომების შესახებ მე უკვე ვილაპარაკე, მხოლოდ უნდა დავუმატო, რომ პირადი დასახელებით კენჭის ყრისათვის როგორც საკავშირო, ისე ერების საბჭოში, საჭიროა ხმების განსაზღვრული რაოდენობა. საკავშირო საბჭოში რომ კენჭის ყრა მოხდეს პირადი დასახელებით, საჭიროა საბჭოს 30 წევრის განცხადება, ერების საბჭოში კი ეს ციფრი დაყვანილია ათამდი, პლენარულ სხდომებზე კი—საჭიროა აგრეთვე არა ნაკლებ 30 კაცის განცხადებისა.

ცაკის პრეზიდიუმი.

შემდეგ მიდის თავი კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის შესახებ. პრეზიდიუმი, გარდა იმ უფლებებისა, რომელიც მინიჭებული აქვს ძირითადი კანონით, „თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უწევს კონსტიტუციის, ცაკის საბჭოთა ყრილობის და ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას".

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲙᲐᲡ

ახლად არჩეული ხიდისთავის რაიონის (გურია) მუშათა და გლეხთა საბჭო უგზავნის სალამს მუშათა და გლეხთა ინტერესების ერთგულ დამცველს—საქართველოს კომპარტიის ცეკას. სალამი ბრძოლაში გამოწრთობილ ჩვენს ბელადებს ცხაკაიას, მახარაძეს და ორახელაშვილს.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას მთელ მსოფლიოში, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მგალობლიშვილი.**

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ქალ. გორის და მის მაზრაში მუშათა და გლეხთა საბჭოების დეპუტატების არჩევნების საქმე სასურველად მიმდინარეობს; მაზრა დაყოფილია 10 რაიონად: ბორჯომის, ხაშურის, გომის, რუისის, ქარელის, მეჯვრისხევის, კავთისხევის, ქვემოჭალის, ახალქალაქის და გორის. ქალაქები: გორი, ბორჯომი, ხაშური და სურამი ცალკე საარჩევნო ერთეულს წარმოადგენენ. რაიონებში იარსებებს რამოდენიმე საბჭო: 1. ბორჯომის რაიონში 6 საბჭო: თვით ბორჯომის, ახალდაბის, გუჯარეთის, წაღვერის, ბაკურიანის და დვირის, 2. ხაშურის რაიონში 6 საბჭო: ქალ. ხაშური, ჭალის, სურამის, ქვიშხეთის, ხცისის და ლუდასი, 3. გომის რაიონში სამი საბჭო: გომის, ბლის და საციხურის, 4. ქარელის რაიონში 2 საბჭო: ქარელის და ზღუდერის, 5. რუისის რაიონში სამი: რუისის, შინდისის და დირბის, 6. მეჯვრისხევის რაიონში სამი: მეჯვრისხევის, ტყვიავის და ტირძნისის, 7. კავთისხევის რაიონში სამი საბჭო: კავთისხევის, ნიჩბისის და ძეგვის, 8 ქვემოჭალის რაიონში სამი საბჭო: ქვემო-ჭალის, კასპის და თეზის, 9. ახალქალაქის რაიონში ოთხი საბჭო: ახალქალაქის, დოესის, მეტეხის და ახალსოფლის, 10. გორის რაიონში ხუთი საბჭო: თვით ქალ. გორი, კიდევ გორი სოფლებით, ხელთუბნის, ატენის და ორმოცის; სულ მთელ მაზრაში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 216.900 კაცს.

სამაზრო საარჩევნო კომისია ამორჩეულია; რაიონებში დაგზავნილი არიან რწმუნებულები სარაიონო საარჩევნო კომისიების ამოსარჩევად. ზოგიერთ რაიონებში კომისიების არჩევნები უკვე მოხდა.

გორელი.

მოიგენ საუბნო ექიმები და ფსიქიატრები.

ნაოსნობის შედეგები.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. „როსტა“-ს წარმომადგენლებთან საუბარში სახელმწიფო სავაჭრო ფლოტის გამგეობის თავმჯდომარემ, ამხ. პოლუიანმა აღნიშნა დამთავრებულ ნაოსნობის შედეგები. დამთავრებულ სეზონში შესრულებული იყო გემების დიდი სარემონტო მუშაობა. ბალტიის გემთა მიმოსვლის სამმართველომ რემონტიდან გამოუშვა 23 გემი, ჩრდილოეთის 36, შავი ზღვის და აზოვის—143. ბალტიის გემებმა სანაოსნო სეზონის განმავლობაში 45 უცხოეთის რეისი გააკეთა. შავი ზღვისა და აზოვის გემებს ქონდა 12 შინაური ხაზი და ერთი რეგულიარული უცხოეთის რეისი ოდესა—კონსტანტინოპოლი. ჩრდილოეთის გემთა მიმოსვლამ 117.000 მან. მოგება გამოიღო. ბალტიის—86.000 მან მხოლოთ შავი ზღვისა და აზოვის გემთა მიმოსვლამ მოიტანა დეფიციტი, რაც აიხსნება გემების დიდი რემონტით, რომელსაც მთელი შემოსავლის 50 პროც. მოუნდა.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ:

დაუქმებული მანქანები აამუშავეს.

ხარკოვი. 14 ნოემბერი. ამხ. ლენინის სახელობის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში დიდის ზეიმით აამუშავეს რამდენიმე მანქანა, რომლებიც 7 წლის განმავლობაში გაჩერებული იყო. საზეიმო სხდომაზე პროფესორებმა განაცხადეს: მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სახელმწიფო თავისი აღორძინების საქმეში მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელს ამხ. ლენინს უნდა უმადლოდესო.

ახალი სკოლები.

ბახმუტი. 14 ნოემბერი. დონის ოლქში 129 სკოლა იხსნება, სადაც სწავლა უკრაინულ ენაზე იწარმოებს.

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

მოსკოვი. 15 ნოემბერი. კომპანიის დაწყებიდან 10 ნოემბრამდე „პურის ექსპორტის“ მიერ გაყიდულია სხვადასხვა ქვეყნებში 50 მილიონ ფუთზე მეტი პური. აქედან ჭვავი-22 მილ. ფუთი, ხორბალი-16 მილიონი, ქერი, 5 ნახევარი. მილ. სიმინდი-1 ნახევარი მილ. ფ. „ქმიხი“ 1 მილ. ფ., სხვა ხორბლეული 4 მილ. ფუთი.

13 მილიონი გაიყიდა გერმანიაში 7 მილიონი საფრანგეთში, 4 ნახევარი მილიონი ფ. ჰოლანდიაში, 3 მილიონი ფ. იტალიაში, 2 მილიონი ფ. დანიაში, და 3 მილიონი ფ. ოსმალეთში.

უკრაინის სავაჭრო წარმომადგენლობამ პოლონეთში მიიღო პოლონეთის მთელ რიგ ფირმებისაგან წინადადება პურის მიწოდების შესახებ. პოლონეთში მიემგზავრება უკრაინის „ფქვილის ტრესტის“-ის წარმომადგენელი. გაიგზავნა უკვე ფქვილის პირველი პარტიები საბერძნეთსა და ეგვიპტეში.

საფრანგეთის მთავრობამ ფრანგ მრეწველებს გაუხსნა კრედიტი და აგრეთვე ნება დართო სხვადასხვა ორგანიზაციებს აწარმოვონ „პურის ექსპორტ“-თან სავაჭრო ოპერაციები, რაც აქამდე აკრძალული იყო.

სასურსათო სახ. კომისარიატმა ხელშეკრულობა დასდო სამხრეთ ამერიკის „პროდქტ-კომპანიასთან“ საზღვარგარეთ ცხვრის და მსხვილფეხა საქონლის ნაწლავების გატანის შესახებ. ამასთანავე ეს კომპანია ფინანსიურ დახმარებას უწევს სასურსათო სახ. კომისარიატის, ზემოაღნიშნულ პროდუქტების დასამზადებლად.

ბერლინის ფირმის რუბენ ბილფელდს მიეცა კონცესია შავ, კასპიის და ბალტიის ზღვებში ჩამავალ მდინარეების რაიონებში თევზის წების და ესსენციის დასამზადებლად, იმ პირობით, რომ მთავრობას მისცემს წმინდა მოგების ნახევარს. ხელშეკრულების ვადათ დანიშნულია 5 წელიწადი ამასთანავე ხელშეკრულება უზრუნველყოფილია 25.000 ფრანგ. ფრანკით.

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

საქართველო

აფხაზეთი

ოქტომბრის დღესასწაული.

სოხუმი. 14 ნოემბერი. მაზრებიდან და სოფლებიდან იუწყებიან, რომ ოქტომბრის წლის თავი ბრწყინვალედ იდღესასწაულიათ. ოჩემჩირეში დღესასწაულის დღეს პროფკავშირებს შეფობა უკისრიათ მთელ წყება სოფლებისა. განსაკუთრებით დიდის ზეიმით იდღესასწაულიათ ბზიუბაში, ბამიშსა და ბოსლუხუბში.

აზერბეიჯანი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრება.

ბაქო. 14 ნოემბ. 10 ნოემბრამდე აზერბეიჯანის ყველა მაზრებში და ნუხის მხარეს შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ხორბლეულად 2,136,913 ფუთი და 30 გირ.

ბრძოლა მინდვრის თაგვების წინააღმდეგ.

ბაქო. 14 ნოემბ. მინდვრის თაგვების წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილობრივ იგზავნება ინსტრუქტორები. უკვე გაიგზავნა ინსტუქტორები ყუბისა და ყაზახის მაზრებში. მათ დავალებული აქვთ, მინდვრის თაგვებთან ბრძოლის გარდა, კონსულტაცია მოახდინონ ბაღის ნერგების მავნე მწერთა საწინააღმდეგო საშუალებებზედაც.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 14 ნოემბერი. 6—7 ნოემბერს ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებში ამოუღიათ 1,359,000 ფ. ნავთი. საქაჩავში მიშვებული ყოფილა 388,000 ფ. საქაჩავიდან დაბრუნებულა 382,000 ფ. დაწმენდილა 130,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 174 დაზგა, ჩაუბურღავიათ 134 საჟენი.

ნავთის ამოღება ოქტომბერში.

ბაქო. 14 ნოემ. წინასწარი ცნობების მიხედვით, ოქტომბრის განმავლობაში ამოუღიათ 19,535,799 ფ. ნავთის სამრეწველოებზე, ხოლო შინამრეწველობის წესით კი 8,782,028 ფ. სულ 21,378,777 ფ. წინა თვესთან შედარებით 150,000 ფუთით მეტი. აქედან სახელმწიფო სამრეწველოებზე ამოუღიათ ამოქაჩვით 11,558,210 ფ., კომპრესორებით—6,431,910 ფ. ნასოსებით—24,550 ფ. შადრევანად ამოსულა—940,350 ფ. შემთხვევითი—641,229 ფ. რაიონების მიხედვით ამოღებულია: ბალახანაში 2,767,434 ფ. საბუნჩიში—3,970,511 ფ. ჩამანიში—4,039,886 ფ. სურახანაში—434,900 ფ. ბიბი-ეიბათში—3,402,990 ფ. ბინაგადში—1,020,926 ფ.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 14 ნოემბ. 10 11 ნოემბერს გაუზიდიათ ნავთის ნაწარმოები: ბაქოდან ასტრახანში 1,553,723 ფ. ჩაკუშიდან ასტრახანში—242,200 ფ. შავი ნავთი; ბაქოდან კრასნოვოდსკში—149,341 ფ. შავი ნავთი.

სომხეთი

დაშნაკელთა დაშლა.

კამარლუ. 14 ნოემბ. 13 ნოემბერს კამარლუში მოხდა ყოფილ დაშნაკელთა სამაზრო ყრილობა. დელეგატები აირჩიეს სრულიად სომხეთის ყრილობისათვის.

ერევანი. 14 ნოემბ. 18 ნოემბერს მოხდება ერევნისა და ბამბაკ-ლორის მაზრების ყოფილ დაშნაკელთა ყრილობები.

ერევანში 20 ნოემბერს, სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკელთა ყრილობის დღიურ წესრიგში შემდეგი საკითხებია შეტანილი: საინიციატივო ბიუროს ინფორმაციული მოხსენება, საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, დაშნაკციუტუნის ხელახალი შეფასება, ეროვნული საკითხი და დაშნაკციუტუნი, დაშნაკციუტუნის იდეოლოგია, მიმდინარე საკითხები და სხ. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ ტფილისისა, ბაქოს და ყარაბაღის დელეგატები.

ყრილობის მოწვევის გამო, საინიციატივო ბიურო გამოსცემს მოწოდებას ყველა ყოფილ დაშნაკელთა მიმართ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

20 ნოემბერს ჩვენი კავშირი დღესასწაულობს თავის არსებობის ექვსი წლის თავს. ერთეულებისაგან, წვრილ, პატარა ჯგუფებისაგან საქართველოს კომკავშირი გადაიქცა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ფართე ორგანიზაციათ, შემოიკრიბა რა თავის რიგებში საუკეთესო ენერგიული და მოწინავე ნაწილი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობისა. ამ ხნის განმავლობაში კავშირს მრავალი რეპრესიების, დევნის და დამარცხების გადატანა შეხვდა, მაგრამ ბოლოს მაინც ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად კომპარტიასთან ერთად.

მეშვიდე წელში კავშირი შედის ორგანიზაციულად გამაგრებული, რიცხობრივად გაზრდილი, ხარისხობრივად გაუმჯობესებული; კავშირი გადაიქცა კომუნისტურ სიმტკიცისა და ინტერნაციონალურ აღზრდის წყაროთ.

კავშირის დღესასწაული ხდება—ერთი მხრით ევროპაში (გერმანია, პოლონეთი) დიდი ამბების განვითარების დროს და მეორე მხრით—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სამეურნეო წინსვლის და ანტისაბჭოთა პარტიების სრულიად დაშლის დროს. ყოველივე ეს აძლიერებს ჩვენი კავშირის წევრებში რწმენას საბოლოო გამარჯვებისას და ზეიმის ხასიათს აძლევს ჩვენს დღესასწაულს. ჩვენი ექვსი წლის დღესასწაული უნდა დაუკავშიროთ გერმანიის ამბებს; კავშირის ფართე მასსები და უპარტიო ახალგაზრდობა უნდა გაეცნონ დღესასწაულზე გერმანიის რევოლიუციის მნიშვნელობას და თავის ვალდებულებას გერმანიის პროლეტარიატის წინაშე.

ცეკა იძლევა წინადადებას დღესასწაულს მისცეთ შინაური ხასიათი:

1) მოაწყვეთ საერთო კრებები, მოგონებათა საღამოები და სხვა კლუბებში, სამკითხველო ქოხებში (სოფლად), სახალხო სახლებში და სხვა ადგილებში (დემონსტრაციებს ნუ მოაწყობთ).

2) გაალამაზეთ კლუბები, სამკითხველო-ქოხები ლოზუნგებით, პლაკატებით და დროშებით.

3) გამოფინეთ დიაგრამა კავშირის თქვენი ორგანიზაციის ზრდისა (მაზრის ან ოლქის დიაგრამა კავშირის მიერ ფლოტში, და არმიაში გაგზავნილ წევრების რაოდენობისა).

4) დაუახლოეთ პარტიულ ორგანოებს უპარტიო ახალგაზრდობა.

5) ძველი კომკავშირის წევრებს გააკეთებინეთ მოხსენებები კავშირის არალეგალურ მუშაობაზე, მოგონებანი (უფრო საყურადღებო მოგონებანი ჩასწერეთ, ისტორიულ მასალათ გამოგადგებათ).

6) კომიტეტებს ევალებათ ამხანაგის გამოყოფა მაზრაში კავშირის დღევანდელ მდგომარეობაზე მოხსენების გასაკეთებლად.

7) კლუბებში მოგონებათა წაკითხვის შემდეგ დადგით წარმოდგენები.

8) ადგილობრივ გაზეთებში აწარმოეთ კამპანიები კავშირის ექვსი წლის თავის შესახებ.

ცეკა 20—ნოემბრისათვის სცემს კრებულს კავშირის ისტორიის შესახებ და აგზავნის თეზისებს, რომელიც უნდა გადაამუშაოთ პროფკოლექტივებში და უჯრედებში.

თემა მოხსენებელთათვის „კავშირის ექვსი წელი და გერმანიის რევოლიუცია“.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი: **გ. დეგდარიანი.**

ს. ა. კ. კ. ც. კ. სააგ-საპროპ. განყ. გამგე: **ვ. გოგეშვილი.**

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

1 ნოემბერს ბათომში გაიხსნა აჭარისტანში 5 საოლქო პარტკონფერენცია.

საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საერთაშორისო ასპარეზზე მებრძოლ ძალებს, გერმანიის სამოქალაქო ომს, საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობას და უკანასკნელად დაახასიათა მომავლის პერსპექტივები.

სააღმშენებლო მუშაობა.

ს. ე. პ. აჭარისტანის კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. სვანიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც პარტიას უხდება მუშაობა აჭარისტანში. პირველად ყოვლისა, საჭირო იყო კულტურული მუშაობის გაშლება ოლქში, რადგან დანარჩენი მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებული იყო სწორედ ამაზე. ამ მიზნით, გარდა სკოლებისა, ოლქის მრავალ პუნქტებში დაარსდა პოლიტცოდნის წრეები, კლუბები, სამკითხველოები, თეატრები და სხვა. სწარმოებს ენერგიული მუშაობა ოლქში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

მთელს აჭარისტანში დასრულებულია სასამართლოს რეფორმა. ცეკავშირი ეწევა ინტენსიურ მუშაობას ოლქში კოოპერატიული დუქნების გასამაგრებლად და მოსახლეობისათვის საჭირო საგნების მისაწოდებლად.

სწარმოებს მუშაობა ახალი ხიდების ასაგებად, გზების გასაყვანად და სხვა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიწად-მოქმედების კომისარიატს გადასცა 83 ათასი ჩერვონეცი მანეთი ჩაის პლანტაციების გასაუმჯობესებლად.

საორგანიზაციო მუშაობა.

საორგანიზაციო მუშაობას გაცხოველება დაეტყო ა. წ. სექტემბრიდან, როდესაც ტფილისიდან ჩამოვიდა ამხ. ს. აკოპოვი. ამ ჟამად ორგანიზაციაში 34 სამოქალაქო და 11 სამხედრო უჯრედია. 1 ოქტომბრისათვის პარტიის წევრთა რიცხვი უდრიდა 787-ს. ოლქში მხოლოდ 2 უჯრედია, მაგრამ სამაგიეროთ მრავალი პოლიტწრეები აწარმოებენ მუშაობას. სერიოზული მუშაობა სწარმოებს უპარტიო მასაში.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ამ 6 უკანასკნელი თვის განმავლობაში ჩატარებულია 40 კამპანია და უპარტიოთა კონფერენციები. დასრულდა პოლიტ-ცოდნის შემოწმება. პარტსკოლაში და სამხედრო სასწავლებელში მეცადინეობა ნაყოფიერად სწარმოებს. ქალაქის შეფობა სოფელზე თანდათანობით ფართოვდება: ყველა მოზრდილ სოფლებში ეწყობა ქოხ-სამკითხველოები, კლუბები და თეატრები, წელს სკოლები დაამთავრა 825 კაცმა. ბათომში გახსნილია „აჭარელი ფუხარას სახლი“.

ქალთა განყოფილება აწარმოებს მუშაობას აჭარელ ქალთა შორის, გახსნილია ჭრა-კერვის სახელოსნო. ნაყოფიერად აწარმოებს მუშაობას აჭარელ ახალგაზრდათა შორის კომკავშირი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იწონებს პარტკომის მუშაობას.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობაზე წარმოდგენილ იქნა 78 დელეგატი, მათ შორის 72 მამაკაცი და 2 ქალი. 4 დელეგატი არ გამოცხადებულა.

ეროვნების მიხედვით—ქართველი 38, რუსი—21, ებრაელი—4, სომეხი—3, ბერძენი—2, უკრაინელი—2, აჭარელი—2, სხვა ეროვნების—2, სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა—36, გლეხი—17, ინტელიგენტი—17, მოსამსახურე—4.

პარტიული სტაჟის მიხედვით; 1900—1905 წ. წ.—6 დელეგატი, 1905—1917 წ. წ.—3, 1917—1923 წ.წ. 63.

სამანდატო კომისიის მოხსენება მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ.

კომიტეტის არჩევნები.

კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ: ნ. სვანიძე, ი. ხიმშიაშვილი, ო. მოწყობილი, ს. აკოპოვი, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, ახალაძე, ალანია, ლუსაკელი, რამიშვილი, კოსტენკო, ნემერზელი, ბელოვი, ბარამიძე და ახალგაზრდათა კომკავშირის მდივანი.

კანდიდატებათ: იმედაძე, ოსიპოვი, ვალიკი, ვოდოკკი, კიდაიბ, გოგიბერიძე და კუნჭულია.

სარევიზიო კომისიაში ბრელიძე, დიმიტროპულო, ნიკოლაევი და კანდიდატათ კილაძე.

დამსწრე.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ვალუტის კურსი ტფილისში.

(15 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	112,000
ფ. სტერლინგ. ეფექტ.	105,000
ჩეკები	—101,000
დოლარები ეფექტ.	— 24,000
ჩეკები	22.500
ოსმ. ქაღ. ლირა	12.800
იტალიური ლირა	715
ფრანგული ფრანკი	1070
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1350 მ. ცხვრის ხორცი—1,800 ათ. შაქარი რაფინადი რუს. 5300 ათ., ფხვნილი შაქარი 3300 ათ., ვერმიშელი—1600 ათ., კარტოფილი—225 ათ. მაკარონი 1700.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700—800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი 1500—1600 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ. შაქარი რაფინადი—5,200 ათ., ფხვნილი შაქარი—3,400 ბრინჯი აღდ.—1,400. მაკარონი—1,750. კარტოფილი—250 ათ.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუსული შაქარი რაფინადი და ფხვნილი. რუს. მანუფაქტურა. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდიის ცემენტი. ყუბანის ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ასანთი რუს. ჩაი. ელექტრონის ლამპები.

ოფიციალური გარიგებანი.

ფხვნილი შაქარი (იავის)—11 მ. 60 კ. ფუთში, ფრანკო—სადგ. ტფილისი.

სალოშასი 11 მ. 75 კ. ფუთში.

რუს. მანუფაქტურა—საფეიქრო სინდიკატის პრეისკურანტის ფასებში.

პორტლანდიის ცემენტი 12 მ. 75 კ. ბოჭკაში.

მზესუმზირას ზეთი—4 მ. 50 კაპ. ფუთში, ფრანკო—სადგ. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

პურეულის და ხორბლეულობის ბაზარზე—განწყობილება სუსტია; შაქრის და ტეხნიკური ცხიმის ბაზრებზე—ცოტად გაცხოველებული, დანარჩენ ბაზრებს ცვლილება არ ეტყობა.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

დღეს, როგორც უკანასკნელ დღეებში, ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი შეუწყვეტლად მატულობს. საბჭ. ფულების ნიშნებს ეტყობა თანდათანობითი დაცემა.

ბირჟის კვირეული.

(1—8 ნოემბერი).

კვირის განმავლობაში ბირჟას დაესწრო 281 წევრი და 143 გარეშე პირი.

საფონდო გარიგებების რაოდენობა უდრის 215770 ჩერვ. მან. საქონლის გარიგებების რაოდენობა უდრის 202594 ჩერ. მან. საერთო ჯამი როგორც საფონდო, ისე საქონლის გარიგებისა უდრის 417764 ჩერვ. მან.

მყიდველები იყვნენ: სახელმწიფო დაწესებულებები 133, კოოპერატივები—15, საზოგადო ორგანიზაციები 4 და კერძო პირნი—121; გამყიდველები: სახელმწ. დაწესებ.—237 კოოპერატივები—3, საზოგ. ორგანიზაციები—5 და კერძო პირნი—28.

შეიძინეს ვალიუტა სახელმწ. დაწესებულებებმა—(ჩერვ.)—125075, კოოპერატივებმა—13150, საზ. ორგანიზაციამ—3870 და კერძო პირებმა 73055, გაყიდეს ვალიუტა: სახ. დაწესებ.—174500, კოოპერატივებმა—450, სახ ორგანიზ.—941 და კერძო პირებმა—30810.

იყიდეს საქონელი (ჩერვ). სახ. დაწესებულებებმა—40927 და კერძო პირებმა 161667; გაყიდეს საქონელი: სახელმწიფო დაწესებულებებმა 201394 და კერძო პირებმა 1200.

საექსპორტო და საიმპორტო ხელშეკრულებათა დადასტურების დებულება.

დამტკიცებულია ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის მიერ დებულება საექსპორტო-საიმპორტო ხელშეკრულებათა დადასტურების შესახებ.

ამ დებულების შინაარსი შემდეგია: თანახმად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის დებულებისა, არავითარი შუამდგომლობა საზღვარგარეთიდან შემოტანის ან საზღვარგარეთ გატანის შესახებ იმ საქონლისა, რომელიც შემოტანილ ან გატანილ უნდა იქნეს იმ ხელშეკრულების ძალით, რომლებიც დადებულია ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ნება-დაურთველად,—დაკმაყოფილებული არ იქნება. საგარეო ფირმებთან ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფირმები ჩაირიცხებიან ა. კ. საგარეო კომისარიატში სარეგისტრაციო რიგით.

საექსპორტო ან საიმპორტო ხელშეკრულების ტექსტი უსათუოდ შეტანილი უნდა იყოს მუხლში იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება წინასწარია და იურიდიულ ძალას ღებულობს მხოლოდ ა | კ. საგარეო ვაჭრ. კომისარიატის დადასტურების შემდეგ

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელშეკრულებებში უსათუოდ უნდა იყოს მოთავსებული პუნქტი იმის შესახებ, რომ მათი კონტრაგენტები მოვალენი არიან წარუდგინონ რამე თავისი პრეტენზიები მხოლოდ იმ პირთ ან ორგანოებს, რომლებმაც დასდეს ხელშეკრულება.

ა | კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ხელშეკრულების დადასტურებით არ იღებს თავის თავზე რაიმე პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან სამეურნეო ორგანიზაციათა წინაშე.

ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ რაიმე ცვლილებების ან დამატების შეტანა დაუშვებელია.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

რა ევალებათ ჩვენს მუშა-კორესპონდენტებს საბჭოს ახალი არჩევნების დროს.

იწყება ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები. დიდად სერიოზული და საპასუხისმგებლო მომენტი დგება ჩვენი მუშა-კორესპონდენტებისათვის. თუ საერთოდ ჩვენი თანამშრომელი მუშები ვალდებულნი არიან მიაწოდონ რედაქციას ყოველგვარი ცნობები ჩვენი მუშების ცხოვრებიდან და მასთან ისინი ითვლებიან მუშათა მასაში პროლეტარული შეგნება-შემეცნების და კულტურის გამავრცელებელ აქტიურ ძალად, მით უმეტეს ისინი ვალდებულნი არიან ყოველმხრივ ხელი შეუწყონ გაასკეცებული ძალ-ღონით საბჭოს არჩევნების კამპანიის ღირსეულად ჩატარების საქმეს.

როგორც მოწინავე და შეგნებული მუშები, ჩვენი მუშკორები უნდა იდგენ პირველ რიგში. თავიანთი მუშური, პატიოსანი, სერიოზული და დარბაისლური კალმით მათ უნდა გასწიონ დიდი კამპანია იმის შესახებ, თუ ვინ და რა საქმისთვის უნდა აირჩიოს ტფილისის პროლეტარიატმა ქალაქის საბჭოში, რათა აღორძინდეს და განმტკიცდეს ჩვენი ქალაქის მეურნეობა და კულტურული მუშაობა, მიეცეს ნამდვილი პროლეტარული სახე და ელფერი ჩვენ საბჭოთა დაწესებულებებს, მიეცეს მუშა-მოსამსახურეთ რეალური და საკმაო შრომის ხელფასი და სხვა.

ამას გარდა მუშკორებმა უნდა გასწიონ პროპაგანდა-აგიტაციაც სიტყვიერად ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, რათა არჩევნებში მიიღონ ცხოველი მონაწილეობა ჩვენმა მუშებმა, აღნიშნონ რა გააკეთა ძველმა საბჭომ, რა ვერ გააკეთა მან და რა უნდა გააკეთოს ახალმა საბჭომ სამეურნეო და კულტურულ განმანათლებელ დარგებში.

ჩვენმა მუშკორებმა უნდა გააცნონ მუშათა ფართე მასას დელეგატებისათვის ნაკაზის სრული შინაარსი; წააქეზონ ისინი, წამოაყენონ თავის კონკრეტიული წინადადებები მომავალ საბჭოთა მუშაობის შესახებ და სხვა.

გარდა ამისა ჩვენმა მუშკორებმა უნდა მიაწოდონ თავიანთ რედაქციას არჩევნების კამპანიის მსვლელობის ნამდვილი სურათი ყოველდღიურად შესახებ იმისა, სად მოხდა არჩევნები, ვინ აირჩიეს საბჭოში და რას ავალებენ თავიანთ დელეგატებს ჩვენი მუშები.

სახიფათო ექიმობა

(ჯანსახკომის საყურადღებოდ).

ტრამვაელთა ამბულატორიაში არის ექიმი სარქისოვი, ყველა მასთან მისვლელი ავადმყოფი დიდს განსაცდელში იმყოფება. ამის მიზეზია ექიმის „ცუდი მიღება.“ ალმასკომის თანამშრომელი, ყიფიანის ქალი იყო ავად და მივიდა ამ ექიმთან გასასინჯავად. მასთან იყვნენ სხვებიც, რომლებსაც დიდი სიცხე ჰქონდათ და აზველებდათ. ექიმს არც ერთი მათგანი არ გაუსინჯავს და ისე დაიწყო რეცეპტების გამოწერა. ერთმა ავადმყოფთაგანმა მიმართა ექიმს: „მე დანამდვილებით მინდა ჩემი ავადმყოფობის გაგება, რადგანაც შინაგანი სნეულება მაქვს“-ო.

ექიმმა ავადმყოფის მიმართვაზე გულგრილად განაცხადა: „გტკივათ, რაც გტკივათ“—და ისე გამოუწერა რეცეპტი.

ასეთი ექიმები მხოლოდ და მხოლოდ ღუპავენ ჩვენს ჯანმრთელობას განზრახ. მათ სძაგთ ალბად ჩვენი მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობა და არ აქცევენ ყურადღებას მათ და თავის მოვალეობას ცუდად ასრულებენ. საჭიროა ასეთ ექიმობას ბოლო მოეღოს.

მუშკორი ჟ. მ—ძე.

მუშების საღამოს კურსების შესახებ

(განათლების კომისარიატის და პროფკავშირთა კულტგანყოფილების საყურადღებოდ).

აქამდე გახსნილი მუშებისათვის საღამოს კურსების ორგანიზაცია ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მთავარი მისი ნაკლი, რომელიც ყოველ აზრს უკარგავს ამ კურსებს და ხელს უშლის მის ნაყოფიერ მუშაობას, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ძლიერ დაშორებულნი მუშათა რაიონებთან. ეს ნაკლი კი ძლიერ ადვილი გამოსასწორებელია, თუ ამას მოისურვებს ზემოაღნიშნული დაწესებულებები. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე არის სკოლები. მრავლად არის ისინი მუშების რაიონებშიც. საღამოობით ყოველი სკოლა თავისუფალია, რისთვის არ შეიძლება ამ თავისუფალ მშვენივრად სამეცადინოდ მოწყობილ შენობებში გაიხსნას საღამოს კურსები. შეიძლება განათლების ხარჯებს ერიდებიან? მაგრამ განა ეს მისაღებია მხედველობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ შევადარებთ ამ მცირე ხარჯს და იმ დიდ კულტურულ მოგებას, რომელსაც ჩვენ მივიღებთ მუშის საღამოს—დასვენების დროს მიზანშეწონილად გამოყენებით? რამდენი მუშა მუშტარი მოაკლდება მაშინ სამიკიტნოებს, ტრაქტირებს და სხვა გამათახსირებელ გასართობებს?! რამდენი მუშის ოჯახი აღარ ატირდება ლოთი კაცის არა ადამიანური მოქცევისაგან? რა რიგად დაიწევა მაშინ პროცენტი წერა-კითხვის და პოლიტწიგნიერობისა ჩვენს მუშებში?

ქარხნის მუშა.

ასეთი უსამართლო მოპყრობა დაუშვებელია

(შრომის ინსპექციის საყურადღებოთ)

ხშირად ხდება, რომ რომელიმე თავგასული „ხაზეინი“ ივიწყებს სრულიად, რომ ის სცხოვრობს საბჭოთა სახელმწიფოში და თავის თავს უფლებას აძლევს ჩაიდინოს ისეთი რამე, რაც არ შეეფერება პატიოსან მოქალაქეს. ასეთი შემთხვევის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

ლენინის ქუჩაზე № 31-ში, არის თორნე ვინმე ლებანიძის. ამ თორნეში მსახურებენ ამხ. ამხ. გრძელიშვილი და მიქაბერიძე.

აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა ამ ორ ამხანაგს. ისინი დგებიან ღამის ოთხ საათზე და შუადღის სამ საათამდე იძულებულნი არიან იმუშაონ. მერმე მოქ. ლებანიძეს ისე აქვს მათთან საქმე მოწყობილი, რომ ისინიც უსიტყვოდ ემორჩილებიან.

ამხ. ამხ. მიქაბერიძე და გრძელიშვილი შრომის ბირჟას გარეშე არიან მოხვედრილი აქ სამსახურში და ეშინიათ, რომ კანონიერ წინააღმდეგობისათვის ლებანიძემ სამსახურიდან არ დაითხოვოს.

მერე რას იღებენ ასეთ შრომისათვის. თითოეული მათგანი იღებს თვეში 30 მილიონ მანეთს. განა წარმოსადგენია ასეთი სიძვირის დროს 30 მილიონად სამსახური?

ამას გარდა მოქ. ლებანიძეს ერთხელაც არ უფიქრია მათ დაზღვევაზე, ან საინვარიშო წიგნაკების შეძენაზე. ასეთი თავაშვებულობა და დაუდევრობა ყოვლმხრივ გაუმართლებელი და მიუღებელია. საჭიროა ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი წითელი.

კომუნალურ მეურნეობის კავშირის მუშკორთა პირველი ყრილობა

ა. წ. 12 ნოემბერს შესდგა პირველი ყრილობა მუშკორებისა კომუნალურ მეურნეობის პროფკავშირთა დარბაზში. კრებას დაესწრო დიდი უმრავლესობა მუშკორებისა, რომლის მიერ არჩეულ იქნენ თავმჯდომარედ კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მ. სერგეევი და მდივნათ ამხ. მატეოსოვი.

დღის წესრიგში დაისვა ორი საკითხი:

1) მუშკორთა **სამეულის** არჩევა და 2) **კედლის გაზეთის** შემოღება დაწესებულებებში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **სერგეევმა.** მან აღნიშნა, რომ მუშკორთა შრომის ნაყოფიერებისათვის და ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა არჩეულ იქნას მუშკორების მიერ სამეული, რომელსაც დაევალება საპასუხო და სერიოზული წერილების განხილვა, მისი სისწორის შემოწმება და მოთავსება რომელიმე ყოველდღიურ ორგანოში. მასვე ევალება მუშ-კორების მიერ წარმოდგენილ მასალებიდან ამოარჩიოს ღირსეული წერილები მოსკოვის კომუნალურ მეურნეობის კავშირის ჟურნალ „კომუნალურ მუშაკისთვის“.

კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: „არჩეულ იქნეს სამეული მუშკორების სამი წევრის და ორი კანდიდატისგან შემდგარი, რომელსაც დაევალება ხელმძღვანელობა მუშკორების საქმიანობაში“.

კრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხან. მატეოსოვი, ტარახანიანი, ტოპაძე, კობალაძე და ა. გოგოშიძე. პირველი სამი ამხანაგი სამეულის წევრებად და დანარჩენი ამხანაგები მათ კანდიდატებათ.

მეორე საკითხის—კედლის გაზეთის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქ. მატეოსოვმა. მან გაარკვია და გააშუქა დიდი მნიშვნელობა კედლის გაზეთისა ყოველ დაწესებულებებისათვის. აღნიშნა, რომ ის შენიშვნები და დეფექტები, რაც ხშირად არის დაწესებულებებში და რის გამოსწორებაც უხერხულია ყოველდღიურ ორგანოში,—შესაძლებელია კედლის გაზეთში მოთავსდეს და უფრო მეტ სასურველ შედეგსაც მიაღწიოს, ვინაიდან ყველას საშუალება ექნება თავის გაზეთი ყოველდღიურად გადაათვალიეროს. ამასთან ერთად კედლის გაზეთი წააქეზებს მუშებს თავისი აზრების გამოთქმაში წერილობით და შესაძლებელია ბევრმა ნიჭიც გამოიჩინონ წერაში და კარგს შედეგს მივაღწიოთ.

ამ საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: „მიენდოს ჩვენ მიერ არჩეულ სამეულს ამ საკითხის შემუშავება და ცხოვრებაში გატარების მოგვარება“.

მუშკორი გ—ანიძე.

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მიმდინარე ნოემბერში მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ დანიშნულია სრულიად საქართველოს აგრონომების ყრილობა.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა მოითხოვს დიდ შრომას, ხარჯს და ენერგიას, რომ ჩადგეს კალაპოტში და დაადგეს განვითარების გზას. ამჟამად მისი მიმართულების ხაზი არ არის ნათლად გამორკვეული და საზოგადოდ ჩვენი მეურნეობა მრავალ დაბრკოლებას განიცდის.

საბჭოთა ხელისუფლება, საზოგადოება და თვით აგრონომები ყველა იმის ცდაში არიან, რომ გლეხობას მისცენ საშუალება და მეურნეობის ყოველი დარგი განავითარონ.

სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების საქმე მორიგე საკითხია ჩვენი მთავრობისათვის და რესპუბლიკას რაც შეუძლია ხარჯავს ამისათვის. სამწუხაროდ, მას არ ყოფნის საშუალება, რომ სავსებით დაკმაყოფილოს ყოველივე საჭიროება ამ დიდ საქმეში და ჩვენ ერთგვარი **სამარჩენილობა ვეტყობა** ახალი წესრიგის შემოღებაში სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

მაგრამ ჩვენი ნაკლი ამ საქმეში სრულიად დროებითია და ყოველივე ნიშნებია იმისა, რომ მალე გავიმართებით წელში.

რა ნაკლებობას განიცდის დღეს ჩვენი სასოფლო მეურნეობა?

არა გვაქვს დაბალი საფეხურის სასწავლებლები სასოფლო მეურნეობაში, ძალიან ცოტა გვაქვს საცდელი სადგურები, ცოტა გვყავან აგრონომები სოფლად, მეტის-მეტად გვაკლია წიგნი, ჟურნალი, პლაკატი, გაზეთი სასოფლო მეურნეობაში; იარაღი, ხელსაწყო, მანქანები, გასაქირავებელი საწყობები, საწამლებელი მასალები; ყოველივე ის, რაც გლეხებს შეღავათს მისცემს მუშაობაში, ძალიან ცოტა გვაქვს და გლეხებისათვის ძნელი და ძვირი საშოვნელია; მოკლებული ვართ სესხის საშუალებას, ცოტა გვაქვს კოოპერატივები და სხვა. ბევრნაირ ნაკლებობას განვიცდით ასეთს, რაც დიდათ უშლის ხელს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით.

ყოველივე ამან უნდა დაგვაფიქროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელები ჩამოუშვათ და უიმედობას მივსცეთ თავი.

ჩვენა გვაქვს რამოდენიმე უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი სასოფლო მეურნეობაში, გვაქვს რამოდენიმე საცდელი სადგური, აქა იქ გვყავან სოფლადაც აგრონომები (ქალაქად ზედმეტიც არის) და სხვ. რაცა გვაქვს, ის შექმნილია და მოწყობილი, როცა მეტისმეტი ძნელი პირობები იყო და მუშაობა სწარმოებდა მრავალი დაბრკოლებით.

ამჟამად საქმე ბევრათ გამოსწორებულია და უფრო გულდასმით და წინ წახედვით შეიძლება მუშაობა.

ჩვენი მუშაობა სასოფლო მეურნეობაში ისე უნდა მოეწყოს, რომ არც ერთი კაპეიკი რესპუბლიკისა უანგარიშოთ არ უნდა დაიხარჯოს, ყოველივე აგრონომის შრომა ნაყოფიერი უნდა იყოს და თანდათანობით შევქმნათ და მივაწყოთ ყოველივე ის, რაც წინ წასწევს ჩვენს სასოფლო მეურნეობას.

მაღალი და საშუალო სასწავლებელი კარგავს მნიშვნელობას, თუ არ გვექნება დაბალი და პრაქტიკული სასწავლებლები; სასოფლო მეურნეობა ვერას გზით ვერ განვითარდება, თუ არ გვექნება საცდელი სადგურები: საცდელი სადგური არის წყარო, საიდანაც გლეხმა უნდა მიიღოს განსაზღვრული დარიგება მუშაობის წესრიგის და მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შემოღების შესახებ; აგრონომები ვინცა გვყავს უნდა განაწილდნენ მთელს რესპუბლიკაში და ისე არ მოხდეს, რომ ერთ კუთხეს ზედმეტი ჰყავდეს და მეორეს არც ერთი აგრონომი. რის შოვნას და შეძენასაც მოახერხებს რესპუბლიკა სასოფლო მეურნეობისათვის—იარაღები, მანქანები, საწამლებელი მასალა და სხ., ის გლეხს უნდა მივაწოდოთ ისე, რომ გლეხი არ წვალობდეს და არ აცდენდეს ზედმეტ დროს. თუ არ იქნა გლეხს სესხის საშუალება სახელმწიფოდან, ის ვერ მოახერხებს მეურნეობის წინ წაწევას; გლეხს უნდა ექნეს ცოდნა, შეგნება, განვითარება, ის უნდა კითხულობდეს წიგნს, გაზეთს, ჟურნალს, პლაკატს, ხედავდეს თვალწინ მუშაობის მაგალითს და ამა თუ იმ მცენარის კულტურას და სხ.

თქმა არ უნდა, ერთად ყველაფერი არ შეიქმნება და არც გაკეთდება, მაგრამ საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მწყობრათ იქნეს და სწარმოებდეს საქმიანობა იმის შემოღებაში და დაარსებაში, რაც აუცილებელია სასოფლო-მეურნეობის განსავითარებლად და გლეხის წელში გასამართავად.

მომავალი ყრილობა აგრონომებისა, რომლებსაც ნათლად აქვთ გათვალისწინებული გლეხისა და ჩვენი ს. მეურნეობის საჭიროება, იმედია დეტალურად შეეხება ყოველივეს და აღნიშნავს, რაც უსაჭიროესია და ამ თავიდანვე უნდა გაკეთდეს ს. მეურნეობის აღსადგენათ.

ბე—ი.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა.

ყრილობის სხდომების ანგარიშამდე საჭიროა აღინიშნოს, რომ კავშირმა დიდი წარმატებით ჩაატარა რესპუბლიკის მასშტაბით ყრილობის მოწვევი კამპანია. ყრილობაზე გამოცხადდნენ კავშირის ყველა სამაზრო განყოფილებათა წარმომადგენელნი, ხოლო საკავშირო მასსა წინასწარ გაცნობილი იყო ყრილობის წინაშე დასმულ საკითხებთან.

პირველი და მეორე სხდომები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე. ყრილობა განსაკუთრებულ ინტერესით მოეკიდა გერმანიის უკანასკნელ ამბებს და მიღებულ რეზოლიუციაში გამოსთქვა რწმენა გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვებაში.

ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.

ცენტ. გამგეობის მუშაობაში აღსანიშნავია: საკავშირო ორგანიზაციების გამაგრება და ორგანიზაციული ჩამოყალიბება; როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ მაზრებში, ტრანსპორტზე მომუშავეთა სრ. რუსეთის კავშირის ც.-კ-თან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება; საკავშირო ფონდების შექმნა, საურთიერთო დამხმარე კასის მოწყობა რესპუბლიკის მასშტაბით, (უკანასკნელს ჰყავს წევრებათ კავშირის წევრთა 50 პროც.).

სატარიფო ეკონომიურ დარგში.

ა. კ. ცენტრ. გამგეობამ შესძლო სამუშაო ხელფასის გადიდება წარმოების ყველა ჯგუფებისათვის დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სატრანსპორტო წარმოების სამეურნეო ორგანოების ჩამოყალიბებას და მათთან შეთანხმებულ მუშაობის წარმოებას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის.

კულტურულ განმანათლებელი მუშაობის ყოველ დარგს ცენტრ. გამგეობა დიდი ყურადღებით ექცეოდა, მაგრამ მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებული იყო კულტფონდის ქონებრივ მდგომარეობაზე.

უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში კულტფონდი მოისუსტებდა, მაგრამ თანდათანობით იგი მტკიცდებოდა და ამასთან ერთად საგანმანათლებლო მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობდა.

ცენტრ. გამგეობის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები გამოსთქვამდნენ გამგეობის მუშაობის მიმართ კმაყოფილებას და მიუთითებდნენ შემდეგი მუშაობის გზებზე. აღნიშნული იყო ცენტრის ზუგდიდის მაზრასთან სუსტი კავშირი.

მესამე და მეოთხე სხდომები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სატრანსპორტო წარმოების სამეურნეო ორგანოთა მოხსენებანი: ცენტ. საზღვაო სატრანსპორტო საზოგადოების, სატრანსპორტო ტრესტის და „ზაკომსის“-ს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანოების ყველა მოხსენებებმა ყრილობის ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს. ყრილობას შეგნებული აქვს, რომ სატრანსპორტო წარმოების აღორძინებაზე არის დამოკიდებული როგორც კავშირის წევრთა მატერ. მდგომარეობის გაუმჯობესება, ისე კავშირის გამაგრება-განმტკიცება. ყველა სამეურნეო ორგანოებიდან თავის მუშაობით ყველაზე ძლიერად ჩაითვლება ცენ. საზ. სატ. საზოგადოება, ხოლო სატრანსპორტო ტრესტმა და „ზაკომსი“ ჯერ ჯერობით სავსებით ჩამოყალიბებული და მოწყობილნი არ არიან. ც. საზღ. სატ. საზ-ბის მუშაობა ყრილობას სავსებით დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

ყრილობა საჭიროდ აღიარებს ც. ს. ს. საზ-ის სამეურნეო ანგარიშზე საბოლოოდ გადაყვანას, ც. ტ. საზღ. სატ. საზ. საბოლოოდ ჩასადგენად ყრილობა აუცილებლად სთვლის საქართ. ავტო-მეურნეობის ცენ. სატ. საზოგადოების უფლების ქვეშ გაერთიანებასა და საბრუნავ საშუალებათა გაძლიერებას. შემდეგ ყრილობა წინადადებას აძლევს ც. ს. ს. საზ-ბის დაუყოვნებლივ შეუდგეს ტვირთმზიდავ მანქანების შეძენას, რათა ამ საშუალებით შესაფერ სიმაღლეზე აიყვანოს ავტო ტრანსპორტი.

ც. ს. ს. საზოგადოების მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სატრანსპორტო ტრესტის მოხსენება.

ყრილობამ ტრესტის მუშაობა მოიწონა, რადგან მან რამდენიმე თვის განმავლობაში საკმაო ნაყოფი მოიტანა. გადამუშავებულია 720.000 ფუთი ტვირთი. ოპერაციებს ტრესტი საკმაო მოგებით აწარმოებს. ტრესტი მუშაობს ა.-კავკასიის მასშტაბით და აქვს ა.-კ. რესპუბლიკების მსხვილ ცენტრებში საკუთარი კონტორები. ტრესტის დაწესებულებებია გზ. სახ. კომ. ს. მ. უ. ს. და და სას. სახ. კომ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყრილობას სპეც. განაკვეთები მიაჩნია დიდათ და საჭიროდ სთვლის მის მინიმუმამდე დაყვანას.

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა

მეოთხე სხდომა.

ცენტ. გამგეობის მოხსენების მოსმენის და რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ყრილობა შეუდგა საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიურ და კულტ განათლების საკითხების განხილვას.

ყრილობამ ყოველი საკითხის დასამუშავებლად გამოჰყო ცალკე კომისიები, რომელთაგან შემუშავებულ თეზისებში ყრილობის მიერ შეტანილ იქნა რამოდენიმე ცვლილება.

საორგანიზაციო მუშაობის დარგში, იღებს რა ყრილობა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საკავშირო მუშაობის საორგანიზაციო პერიოდი უკვე დამთავრებულია, წინადადებას აძლევს მომავალ ცენტ. გამგეობას განამტკიცოს და გაამაგროს წარსულ მუშაობით მიღწეული შედეგები.

საკავშირო ფინანსების გასაჯანსაღებელ საშუალებად ყრილობას მიაჩნია, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრის ორგანიზაციების სახარჯთაღრიცხვო არსებობაზე გადასვლა.

მომავალ ცენტრ. გამგეობას დაევალა 1 დეკემბრამდე მოაწყოს ყველა საწევრო გადასახადთა ინდივიდუალური აკრება.

სატარიფო ეკონომიურ საკითხში ყრილობა, აღნიშნავს რა ც. გ. წარსულ მუშაობის სისწორეს აღნიშნული მიმართულებით, ავალებს მომავალ ცენტ. გამგეობას კოლექტ. ხელშეკრულების და სატარიფო შეთანხმებით რამდენადაც შესაძლებელია გაადიდოს შრომის ხელფასი და დაიცვას მისი რეალური ღირებულება, ამავე დროს ანგარიში გაუწიოს ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობას და სამეურნეო ორგანოების შესაძლებლობას, რათა არ შეეფერხოს ლითონის მრეწველობის აღორძინება.

შრომის ნაყოფიერების და ამგზით თვით მრეწველობის ასამაღლებლად, ც. გამგეობამ ხელი უნდა შეუწყოს დამუშავების მაქსიმალურ ნორმის დაწესებას.

ყრილობის მიერ ცენ. გამგეობისადმი დირექტივები ცხადჰყოფენ, თუ რა შეგნებით და სერიოზულობით მოეკიდა ყრილობა აღორძინების გზაზე დამდგარ ლითონის დამმუშავებელ მრეწველობას, სადაც ამჟამად რამოდენიმედ კრიზისს განიცდის.

კულტურულ-განმანათლებელ დარგში ყრილობა ავალებს ცენტრ. გამგეობას მიაქციოს უმთავრესი ყურადღება მუშათა პოლიტიკურ და პროფესიონალურ განათლებას.

კვალიფიციურ მუშაკ მელითონეთა სიმცირის გამო, ყრილობა მოითხოვს მომავალ ცენტ. გამგეობისაგან გააძლიეროს მუშაობა პროფტეხნიკური კურსების მოსაწყობად, სადაც პირველ რიგში მიღებულ უნდა იქნენ მუშათა ახალგაზრდები.

შემდეგ, აღნიშნავს რა საკლუბო მუშაობის სისუსტეს, ავალებს ცენტ. გამგეობას მიაქციოს სათანადო ყურადღება კულტ-მუშაობის ამ დარგს.

ქრონიკა

— **მისალმება.** საქ კომპარტიის ცეკამ გორის მეხილეთა ყრილობისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობით აყვავდება საქართველოს მეურნეობა.

— **დამსახურებულ მასწავლებელთა იუბილე.** შაბათს, 17 ნოემბერს განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება შრომის სკოლების 7 დამსახურებული მასწავლებლის იუბილე მათი 25 წლის საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად. განათლების კომისარიატმა დაადგინა აღნიშნულ მასწავლებლებს დახმარების სახით გადასცეს 1 მილიარდი და 500 მილიონი.

— **წყალსადენი ქუთაისში.** ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ქუთაისში აგოს წყალსადენი და ამ მიზნით მიმართოს უმაღლეს ხელისუფლებას სათანადო თანხის გასაღებათ.

— **დახმარება კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მას ა. | წ. საფინანსო კომისარიატიდან მიეცეს საჭირო თანხა კონტრ-რევოლიუციონერ ბანდებთან ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევათ.

— **შეჯიბრება კედლის გაზეთზე.** 25 ნოემბერს, ქართული დივიზიის ნაწილებში გაიმართება შეჯიბრება საუკეთესო კედლის გაზეთზე.

— **ბაზრობა ოზურგეთში.** ა. | წ. მომხმარებელი საზოგადოებათა კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა, ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის დამთავრების შემდეგ, ოზურგეთში მოაწყოს ფართო ბაზრობა ყველა კოოპერატივების ნამუშევრებისაგან.

— **ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი.** იანვრიდან სექტემბრამდის ტფილისში ბოროტ-მოქმედების შემთხვევები აღრიცხულია 1293. აქედან—982 ქურდობა, დანარჩენი სხვადასხვა ხასიათის ბოროტმოქმედებანი.

— **წითელი ორდენით დაჯილდოვება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა: საქართველოს გასაბჭოებისათვის მებრძოლ ამხანაგთა წითელ დროშის ორდენით დასაჯილდოებლათ დაარსოს კომისია, რომელსაც მინდობა შეადგინოს სია იმ ამხანაგების, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე.

— **სახალხო კომისარიატების რეორგანიზაცია.** ა. კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, 1) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი გადაკეთებულია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოთ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკაში, ხოლო ქ. ბათომისა და ბაქოს საკონსულოები — რწმუნებულის სააგენტოებად. 2) ამ.-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გადაკეთებულია სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოთ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში; ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობანი უცხოეთში, გაერთიანებულია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ერთიან სავაჭრო წარმომადგენლობათ.

— **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნი: „მეგობარი“, შრომის სკოლის მესამე განყ სრული კურსი, შედგენილი თ. კვიჟაძის და გ. ქუმბურიძის მიერ. წიგნი შემკულია სურათებით, და შეიცავს 144 გვ. სახალხო განათლების კომისრის განკარგულებით წიგნი შეტანილია სავალდებულოდ სახმარებელ სახელმძღვანელოთა სიაში. წიგნი გამოცემულია ცეკავშირის მიერ.

— **ჟურნალი „მომავალი“.** 20 ნოემბერს საქ. ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ექვსი წლის თავის და ჟურნალ „მომავალი“-ს არსებობის ორი წლის თავის აღსანიშნავათ გამოვა „მომავალი“-ს მორიგი საიუბილეო ნომერი (11). ჟურნალი გამოდის ამხ. მ. კახიანის, დ. გვაზავას, გ. დევდარიანის, ვ. გოგეშვილის და კ. ორაგველიძის რედაქტორობით. ჟურნალი შეიცავს 100 გვერდს და ეღირება 50 კ. ჩერვონეცით.

— **„ყოველკვირეული მაუწყებელი“.** სრ. საქ. ცენტრ აღმ. კომიტეტმა დაადგინა: დახუროს სახ. კომისარიატებთან არსებული ორგანოები და მათ მაგიერ გამოსცეს ქართულ ენაზე სახ. კომისართა საბჭოს „ყოველკვირეული მაუწყებელი“, რომლის რედაქტორათ დაინიშნა ამხ. ვარძიელი.

— **გადასახადი წლიურ შემოსავლიდან.** ის პირები, რომელთა წლიური შემოსავალი 1923 წლის 9 თვის განმავლობაში არ აღემატება 450 მან. ჩერვონცებით—თავისუფლდებიან წლიური შემოსავლის გადასახადისაგან (подоходный налог).

— **უმუშევართა მოძრაობა.** 14 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 40 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—56, სამუშაოზე გაიგზავნა—44, მოთხოვნილება იყო—29, უფლებები აღედგინათ—6.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 13 ნოემბერს ღამის 1 საათზე გაქურდეს (მოსკოვის ქ. № 9) მოქ. ოლღა კოპაშვილის ბინა. წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **თავის დაჭრა.** 13 ნოემბერს, ანდრეევის ქუჩაზე № 82, მცხოვრებმა მოქ. ნიკოლოზ თედორიძემ რევოლვერით სასიკვდილოთ თავი დაიჭრა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდების შეპყრობა.** 6 ნოემბერს შეიპყრეს ნიკოლოზ ყაფიანი და ვასილ ეფიმიკოვი, რომლებსაც ბრალდებოდათ სხვადასხვა ქურდობა.

— 12 ნოემბერს შეიპყრეს სულა-ხატაოღლი სხვადასხვა ქურდობისათვის.

საბჭოთა სასამართლოში

ვლასა კოპლატაძის საქმე

3 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ ამხ. კაჭარავას თავმჯდომარეობით განიხილა ვ. კოპლატაძის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მთელ რიგ ბოროტმოქმედებებში.

ყოფილი კომუნისტი, ვლასა კოპლატაძე იყო მილიციის უფროსი სოფ. აწყურში, (ახალციხის მაზრაში). ოქტომბრის პირველ რიცხვებში მან გაიგო, რომ სოფელში ჩავიდა ვიღაც რუსის ქალი, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა ოლღა კულაგინა; ვლასა კოპლატაძემ თავისი მილიციონერებით დაიწყო ამ ქალის ძებნა ნაშუაღამევს და მიაგნო რა იგი ერთ-ერთ სახლში, წინადადება მისცა წაყოლოდა მილიციაში ჩვენების ჩამოსართმევად. მილიციაში მისვლის შემდეგ კოპლატაძემ დაითხოვა მორიგი მილიციონერი, ხოლო კულაგინა გაიყვანა კანცელარიის გვერდით მდებარე მეორე ოთახში, სადაც თვითონ სცხოვრობდა და მისცა მას საზიზღარი წინადადება დანებებოდა.

ასე სტანჯა კულაგინა 4 საათის განმავლობაში და როდესაც ვერაფერს გახდა, გაანთავისუფლა იგი.

რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ კოპლატაძემ 2 კვირის განმავლობაში გაფლანგა 596 მილიონი მანეთი.

ბოლოს, 28 ოქტომბერს, იმავე სოფელში, საღამოს 10 საათზე, კოპლატაძემ გამოიხმო აღმასკომის კანცელარიიდან თავისი მდივანი, ბარათაშვილი, ესროლა კარაბინიდან სამი ტყვია და მოჰკლა, იმიტომ, რომ ბარათაშვილმა წინა დღით უარი უთხრა ფიქტიურ ანგარიშების შედგენაზე, კოპლატაძის მიერ გაფლანგულ ფულების დასაფარავად.

3 ნოემბერს, სოფ. აწყურში დილის 9 საათზე სასამართლოს სესიამ განიხილა კოპლატაძის საქმე.

სკოლის შენობაში, სადაც იმართებოდა სასამართლოს სხდომები, იკრიბებოდნენ თითქმის მთელი სოფლის და მახლობელ სოფლების გლეხები.

ნაშუაღამევის 3 ნახევარ საათზე სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც კოპლატაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ. ყველა ბრალდებებში და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა

4 ნოემბერს კოპლატაძემ შეიტანა კასაცია, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

საქართველოს ცაკმაც დაადასტურა განაჩენი და მისი სისრულეში მოყვანის შესახებ უკვე გაცემულია სათანადო განკარგულება.

ბახჩიევის საქმე.

ა. წ. 15 ნოემბრისათვის დანიშნული საქმე ტფილისის შრომის სასამართლოში ბახჩიევის და კობალაიშვილის შესახებ, გადადებულია მოპასუხების გამოუცხადებლობის გამო.

შრომის სასამართლომ, გადასდო რა საქმე, დაადგინა მილიციის საშუალებით იძულებით იქნან მიყვანილი მოპასუხეები სასამართლოში. საქმე განხილული იქნება ორშაბათს ა. | წ. 19 ნოემბერს.

ხელოვნება

— **კონცერტები წითელ არმიელებისათვის.** ახლო ხანში, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება კონცერტი განსაკუთრებით წითელ-არმიელებისათვის. კონსერვატორიის დირექციას განზრახვა აქვს ქართული დივიზიის ნაწილებში დროგამოშვებით მოაწყოს შესაფერი კონცერტები.

— **ანრი ბარბიუსის რომანი ქართულ ენაზე.** ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის რომანი „ცეცხლი“ დასაბეჭდათ გადაეცა სახელმწიფო გამომცემლობას.

— **ახალი რომანსები.** მუსიკოსმა ია კარგარეთელმა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით დასწერა ახალი რომანსები.

— **სამხატვრო გამოფენა ქუთაისში.** მხატვარი მოსე თოიძე იანვრის პირველ რიცხვებში ქუთაისში აწყობს ქართული მხატვრობის გამოფენას.

— **საბავშვო თეატრი.** საბავშვო თეატრის სეზონი გაიხსნება კვირას, 18 ნოემბერს, ყოფილ პატარა თეატრში. წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე „ნიშანი ყოფა-ქცევაში“.

— **თვითშრომელთა კლუბი.** ორშაბათს, 19 ნოემბერს, თვითშრომელთა კლუბში კლუბის წევრებისათვის გაიმართება უფასო წარმოდგენა ქართულ-სომხურ ენებზე.

— **წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისათვის.** შაბათს, სახელმწიფო ოპერაში, პროფკავშირის წევრებისათვის გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ოპერა „კარმენი“ საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **სახალხო სახლის იუბილე.** სახალხო სახლის იუბილეს მომწყობ კომისიის სამხატვრო სექცია შემდგარი კ. მარჯანიშვილის, შალვა დადიანის და კ. ანდრონიკაშვილისაგან, შეუდგა სახალხო სახლისათვის დამახასიათებელ სანიმუშო წარმოდგენებისა და ტიპების აპოთეოზის მზადებას.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა — „ფრა-დიავოლო“.**

— **რუსთაველის თეატრი:** თურქული წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი—„ცოდვა“.**

პროვინციაში

შორაპნის მაზრა

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემოწირულების შეგროვება

შორაპნის სამაზრო პარტკომთან არსებულ გერმანიის მუშების დამხმარე კომისიამ მიიღო შემდეგი შემოწირულება:

1. ჭიათურაში ყულაბებით შეგროვილი და ერთი სალ მო-წარმოდგენის შემოსავალი—1.646.250.000 2. საჩხერეში იმავე საშუალებით შეგროვილი—200.000.000 3. ზესტაფონში იმავე საშუალებით შეგროვილი—181.450.000 4. ჭიათ. ვაგონ. მტვირთველ მუშებიდან—2.520.000.000 5) საბჭ. დაწესებულების კავშირიდან წევრებს შორის შეგროვილი 506.850.000 6. სამთო მადნო კავშირიდან წევრებს შორის შეგროვილი—274.000.000 7. საექიმო სასანიტარო დარგში მომუშავეებიდან—107.000.000 8. განათლების დარგში მომუშავეებიდან—50.000.000 9. კოწია აბულაძისაგან—60.000.000 10. აქვსენტი მეგრელიძისგან—60.000.000 11. კალისტრატე გამეზარდაშვილისაგან — 60.000.000 12. ექ. ი. ჭყონიასაგან—60.000.000 13 პავლე საყვარელიძისგან 1 სტერლინგი 14. სერაფიონ სიხარულიძისაგან—1 სტერ. სულ 5.725.300.000 მან. და 2 სტერლინგი.

ზემო აღნიშნული თანხა შემოსვლისთანავე შეგვქონდა ჭიათურის კოოპერატივთა კავშირში—ცეკავშირის ანგარიშში—კურსის მიხედვით. კავშირის მიერ მოცემულ ქვითარების თანახმად კომისიას გადაცემული აქვს კოოპერ. კავშირზე 10 ნოემბრამდე 754 მანეთი და 74 კ. ჩერვონცებით, რომელი თანხაც მთავარ კომისიას შეუძლია მიიღოს ცეკავშირიდან.

კომისიის წევრი **კლ. ხუდავა**

ძ. ლანჩხუთი

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად ლანჩხუთის რაიკომის მიერ გამოყოფილ იქნა კომისია.

კომისიამ ღირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა.

7 ნოემბ. გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. დილითვე ყველა დაწესებულებანი და მთელი ბაზარი მორთული იყო. ოქტომბრის რევოლიუციის მოედნის შესავალთან აგებული იქნა „არკა“, მორთული მწვანეულობით და პლაკატებით.

დილიდანვე იკრიბებოდა აუარებელი საზოგადოება. კომისიამ მოაწყო ყულაბებით ფულის შეკრება გერმანიის მუშების დასახმარებლათ. შემოვიდა 857.750.000 მ. დღის პირველ საათზე გამოვიდნენ ტეხნიკუმის და დაბალი სკოლების მოწაფენი მუსიკით და გაემგზავრენ ხსენებულ მოედნისაკენ. დილით კი ტეხნიკუმში მოწაფეების მიერ მოწყობილ იქნა ლიტერატურული დილა. აგრეთვე გამოვიდა პროფესიონალური სკოლის მოწაფეობა.

მშვენიერი სანახავი იყვნენ განსაკუთრებული დანიშნულების და საყოველთაო სამხედრო სწავლების ნაწილები, რომელნიც დარაზმულნი მუსიკით მიემართებიან ტრიბუნისაკენ, რომელიც მოწყობილი იყო ოქტომბრის რევოლიუციის მოედანზე.

სადგურიდან გამოდიან „კურიდიდის“ ამხანაგობის მუშები, დროშით. დაბოლოს გამოდის მუშათა და გლეხთა მილიცია, დარაზმული, ინტერნაციონალის სიმღერით.

მოედანზე შეიკრიბა აუარებელი ხალხი.

დღის ორ საათზე მომწყობ კომისიამ მიიღო აღლუმი და შემდეგ ლანჩხუთის რაიკომის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. იული ცინცაძე, რომელიც მოკლე სიტყვით მიესალმა ხალხს. ლანჩხუთის რაიკომის სახელით გამოდის ამხ. კოლია ცინცაძე, რომელმაც ვრცლად გააშუქა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა. ის შეეხო აგრეთვე გერმანიის დღევანდელ მდგომარეობას. ილაპარაკეს სხვებმაც.

ელიხპირიშვილი.

სოფ. ზედა თეკლათი (სენაკის მაზრა)

28 ოქტომბერს ა. | წ. სოფ ზედა-თეკლათის ყოფილ ეკლესიის დარბაზში, (ახლა თეატრად გადაკეთებულში) მოხდა თეკლათის თემის მცხოვრებთა საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ნიკო ხევცურიანი, მდივნობდა—იოსები გოგოლი.—დღის წესრიგში, სხვათა შორის იყო: 1. მოხსენება—მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. კოლია ლომიასი,—მის მიერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნანახ გაგონილის შესახებ, და 2. მისივე—მოხსენება—გერმანიის პროლეტარიატის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

პირველ მოხსენებაში მან ნათლად დაუსურათა დამსწრე საზოგადოებას თანამედროვე რუსეთის მდგომარეობა.

შემდეგ იგი გადავიდა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე თანახმად ნახულის გამოფენაზე. მან დაუსურათა ყველა ქვეყნის პავილიონები ცალ-ცალკე. განსაკუთრებით დიდ ხანს ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, ტრაქტორებზე. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ცოტა შესვენების შემდეგ, მან გააკეთა მოკლე მოხსენება გერმანიის ამბებზე და მოუწოდა ხალხს დახმარება აღმოეჩინათ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატისათვის.

ხალხი მის მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდა, და ვისაც რა შეეძლო იქვე ჩააბარეს ამისათვის სპეციალურად არჩეულ კომისიას.

დამსწრე

ღია წერილი მოქ. „მეთვალყურეს“

გაზეთ „კომუნისტის“ № 257-ში მოთავსებულია თქვენი წერილი სათაურით „ქალ. აღმასკომის საყურადღებოთ“, სადაც იხსენიებთ ვიღაც შენგელიას, რომელიც თურმე ხელს უწყობდა სახლის მესაკუთრეებს—ალშიბაია-მიქელაძეს და ამით შეცდომაში შეჰყავდა ქალ. აღმასკომი.

რადგანაც იმ ხანებში საბინაო განყოფილებაში ვმსახურობდი ორი ამ გვარის მატარებელი თანამშრომელი, გთხოვთ გამოაცხადოთ გაზეთში, რომელი შენგელია ჰყავთ მხედველობაში.

პავლე შენგელია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესი

მილიციის ორგანოების მიერ სახალხო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა გამო გადაწყვეტილებების შესრულებისა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევიან სახალხო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა გამო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანის დროს სათანადო ორგანოებმა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებით:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება უნდა შესრულებულ იქნეს ისეთ ადგილას, სადაც სასამართლოს აღმასრულებელი არ არის, გადამხდევინებელს შეუძლიან, მის გარდა, მიმართოს მუშათა და გლეხთა მილიციის რაიონის ადგილობრივ უფროსს, ან თემის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და სთხოვოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

2. თემის აღმასრულებელი კომიტეტისა და მილიციის ორგანოები ასეთ შემთხვევაში მოქმედებენ სასამართლოს აღმასრულებელთათვის არსებული წესით და ინსტრუქციებით, გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანის დროს ამ ორგანოებს, ისევე, როგორც სასამართლოს აღმასრულებელთ, ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს სახალხო სასამართლო.

3. აღმასრულებელი ფურცელი უშუალოდ უნდა წარედგინოს იმ ადგილის მილიციის უფროსს (რაიონის უფროს), ან თემის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი, რაიონის უფროსს ან თემის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლიან საქმის შესრულება მიანდოს ამა თუ იმ მისდამი დაქვემდებარებულ პირს.

4. თემის აღმასრულებელი კომიტეტის ან მილიციის ორგანო, როდესაც იგი სასამართლოს აღმასრულებლის მაგივრად მოქმედებს, ყოველგვარ გამოსაღებს (საღერბო, საკანცელარიოს და სანიხროს) ყოველი სააღმასრულებლო მოქმედების დროს ახდევინებს საზოგადო საფუძველზე, იმ წესით, რომელიც დადგენილია სასამართლოს აღმასრულებელთათვის.

5. თემის აღმასრულებელი კომიტეტის ან მილიციის ორგანო იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოთა გადაწყვეტილების შესასრულებლათ მათი სამსახურის ადგილიდან სხვაგან წასვლა, იმ პირს თუ დაწესებულებას, რომელიც გადაწყვეტილების შესრულებას თხოულობს, თავის სასარგებლოდ გადაახდევინებს დღიურ ფულს, იმდენს, რამდენიც დადგენილია სამსახურის გამო წარვლენილობის წესით.

5. დღიური და სამგზავრო ფული შეტანილ უნდა იქნეს წინდაწინვე, გადაწყვეტილების შესრულების შესახებ თხოვნის წარდგენისთანავე, ხოლო შესრულების დროს ეს თანხა მთლიანად საერთო გადასახდელთან ერთად უნდა გადახდეს მოპასუხეს იმ პირის სასარგებლოდ, რომელმაც სახარჯო ფული შეიტანა.

7. გადაწყვეტილების აღმასრულებელი ადგენს დღიური და სამგზავრო ფულის დაწვრილებითი ანგარიშს; ეს ანგარიში ხელწერილის ქვეშ წარედგინება იმ პირს ან დაწესებულებას, რომელიც შესრულებას თხოულობს და დავრთვის სააღმასრულებლო წარმოებას; ანგარიშზე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მოპასუხეს გადახდა და გადამხდევინებელს გადაეცა.

8. თემის აღმასრულებელი კომიტეტის ან მილიციის ორგანომ იმ პირს და დაწესებულებას, რომელიც გადაწყვეტილების შესრულებას თხოულობს, აუცილებლად უნდა მისცეს ქვითარი იმაში, რომ მან დღიური და სამგზავრო ფული მიიღო.

9. ის გადამხდევინებელი, რომელიც საქმის წარმოების დროს განთავისუფლებულ იქნა სასამართლოს ბაჟისა და გამოსაღებისაგან, განთავისუფლებულ უნდა იქნას სააღმშენებლო მოქმედებისათვის საჭირო დღიური და სამგზავრო ფულის წინასწარ შეტანისაგან, ეს ფული გადაწყვეტილების დროს უშუალოდ მოპასუხეს უნდა გადახდეს.

10. თემის აღმასრულებელი კომიტეტის ან მილიციის ორგანო ისევე აწარმოებს იმ საქმეებს და ანგარიშებს, რომელიც გადაწყვეტილების შესრულებას შეეხება, როგორც სასამართლოს აღმასრულებელი; დამთავრებული საქმის წარმოება ორგანომ უნდა წარუდგინოს იმ სახალხო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებაც შესრულებულ იქნა.

11. ის თანხა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებაში იქნა აღებული, უნდა განაწილდეს გადაწყვეტილებათა ფაქტიურად შემსრულებელ თანამდებობის პირთა შორის, პროპორციონალურად იმისა, თუ რამდენი საქმეა წარმოებით დამთავრებული.

12. ყოველგვარი საჩივარი თემის აღმასრულებელი კომიტეტისა და მილიციის ორგანოს სააღმასრულებლო მოქმედებაზე, როდესაც ისინი ასრულებენ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმეების შესახებ, აგრეთვე ყოველგვარი დავა, აღსრულების ნიადაგზე აღმოცენებული, შეტანილ უნდა იქნას იმ სახალხო მოსამართლესთან, რომლის რაიონშიაც გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს.

13. სახალხო მოსამართლეს უფლება ეძლევა მოსთხოვოს თემის აღმასრულებელი კომიტეტის ან მილიციის ორგანოს ყოველგვარი ცნობა იმ აღსრულებათა შესახებ, რომელსაც ისინი აწარმოებენ, აძლიოს მათ განმარტებანი და ათვალიეროს მთელი წარმოება, ფულის დავთრები და ანგარიში. აგრეთვე ჩამოართვას მათ საქმეები და გადასცეს სასამართლოს აღმასრულებელს ან სხვა თანამდებობის პირს. ყოველგვარ განკარგულებას ასეთი საქმეების შესახებ სახალხო მოსამართლე ახდენს თემის, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მილიციის რაიონის უფროსის საშუალებით,

იუსტიციის სახალხო კომისარი
ი. ვარძიელი.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მაგ. **ტალახაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-8-მე რაიკომი** სთხოვს იმ პირებს, ვისაც აქვთ რამე მამხილებელი საბუთები ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგების წინააღმდეგ, გვაცნობონ ასეთები 3-მე რაიკომში, კახეთის ქუჩა № 1.
სია იმ პირებისა, რომელთაც შეიტანეს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

1. მაბრიშვილი ევსტაფი ეგორის ძე, ნავთლუღის რკინისგზ. ხაზის რემონტის მუშა, 2. გარიბოვი გარიბ გრიგოლის ძე,—ქალაქის სასაკლაოს მუშა, 3. მარკარიანი გრიგოლ ალექსანდრეს ძე—ზეინკალი, 4. კრავცოვი ეფიმ გალაქტიონის ძე—მიწად-მოქმედების სახკომის მოსამსახურე, 5. გოგიბერაშვილი კიმოთე იაკობის ძე—გამასწორებელ სახლის № 2 ზედამხედველი, 6. კოროტკოვი ულიანე კონსტანტინეს ძე—ქალაქის საავადმყოფოს სანიტარი, 7. ქართველიშვილი ივანე მოსეს ძე—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის რემონტის მუშა, 8. ლომთათიძე იოსებ ივანეს ძე—ცეკავშირის საპნის ქარხნის მუშა, 9. შაინოვი პოლოს ადამის ძე—მუშა, ახალგაზრ. კომკავშირის წევრი, 10. გოჯაევი მამედ აქპერ—ყარაიაზის გლეხი, 11. ალა-ბალა-ალი-ყარაიაზის გლეხი, 12. ბახტაძე იოსებ—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის მუშა, 13. ლიანოზოვი გიორგი ზაქარიას ძე—მუშა, ახალგაზრ. კომკავშირის წევრი, 14. კობერიძე ბესარიონ ვასილის ძე—ქალაქის სასაკლაოს საქარხნო კომიტეტის წევრი, 15 ჩანჩალაიშვილი სევერიან იაკობის ძე—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის მუშა, 16. ნადირაშვილი ვასილ მიხეილის ძე—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის მუშა, 17. ჯანუაშვილი ივანე მიხეილის ძე—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის მუშა,. 18. მოსესოვი ბეგლარ გრიგოლის ძე—დურგალი საალმშენებლო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე, 19. სარქისოვი სურენ ვასილის ძე—ტყვეულობის მთავარ სამმართველოს მუშა-ახალგაზრ. კომკავშირის წევრი, 20. ოგანეზოვი კარაპეტ სარქისის ძე—მუშა-დურგალი, 21. ხაჩატუროვი ნიკოლოზ ხაჩატურის ძე—ქალაქის წისქვილის მუშა, 22. ჯაფაროვა აბასრიზა-ოღლი ახალგაზრდ. კომკავშირის წევრი, 23. სარქისოვი ხალატ სარქისის ძე—ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კურიერი, 24. პეტროვი ივანე ივანეს ძე—ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დარაჯი, 25. ბაირამოვი პოლოს გრიგოლის ძე—მუშა აღმშენებელი, 26. შოლოგონიანი ალექსანდრე არუთინის ძე—ნავთლუღის რკინისგზის ხაზის რემონტის მუშა.

ერთიანი პარტიული დღისათვის

მომხსენებლებმა ისარგებლონ შემდეგი მასალებით: ამხ. ტროცკის მოხსენებით რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე და გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულ შემდეგი წერილებით:

„პრავდა“ № 85—19 აპრილი 1923 წ. წერილი—„რუსეთის კომუნისტური პარტიის სოფლად მუშაობის საკითხის გამო“.

„პრავდა“ № 82—15 აპრ. „ოქტომბრის ზარის გუგუნი საქართველოს სოფლებში“ შ. ორახელაშვილისა.

„პრავდა“ № . . . . „კლასიური კავშირი სოფელთან“—ლარინის.

„პრავდა“ № 81.—14 აპრ.—კამენიევის „თეზისები საგარდასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად“.

„პრავდა“ № 78—11 აპრ.—ამხ. ტროცკის თეზისები მრეწველობის შესახებ.

„პრავდა“ № 75—5 აპრ.—სადისკურსიო ფურცელი—რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის საკითხის შესახებ სოფლად.

„პრავდა“ № 73—3 აპრ.—ამხ. კამენევის მოხსენება მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე.

„პრავდა“ № 72—1 აპრ.—მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენი რევოლიუციის დასაყრდენობი ბურჯია.

„პრავდა“ № 233—15 ოქტ. № 235—17 ოქტ № 237—19 ოქტ.—შეფობით განვამტკიცებთ კავშირს—კარპინსკისა.

„პრავდა“ № 225—5 ოქტ.—მაკრატლებზე.—სარაბიანოვისა.

„პრავდა“ № 223—3 ოქტ.—პურის ფასი და ჩვენი ამოცანები—ჩუბარისა.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესსენი.**

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა განაცხადეს შემოიტანეს საუბნო კომიტეტში კომუნისტურ პარტიაში ჩარიცხვის სურვილის შესახებ.

მე-2 საუბნო კომიტეტი სთხოვს ყველა ამხანაგებს და პირებს, რომელთაც რაიმე საწინააღმდეგო საბუთები აქვთ ხსენებულ ამხანაგების-წინააღმდეგ, 17—ნოემბრამდე წარმოუდგინონ შესაფერი მასალები საუბნო კომიტეტში (პლეხანოვის ქუჩა № 25) 1. კრონოსოვი—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შოფერი.

2. კელლერი ანდრეი—ინტელიგენტი—მიხეილის საავადმყოფოს მოსამსახურე.

3. ალაჯანოვი ართავაზდი—მეჩექმე—შეგირდი ჩოპინოვისა.

4. შენგელია იოკიმე—ინტელიგენტი—კომუნ. ახალგ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოსამსახურე.

მდივანის მაგიერ **ნაზაროვი.**

პროფესიული.

— **„საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ ტფილისის განყოფილება** აუწყებს ყველა თავის წევრებს, რომ 18 ნოემბერს, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში პროფ. ა. ს. ბაბოვი დაიწყებს ლექციების კითხვას—„საჰაერო მიმოსვლის დებულებათა“ შესახებ, რომელზედაც, ინსტიტუტის სამდივნოში წინასწარ ჩაწერით შეუძლიანთ დაესწრონ „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ ყველა წევრები.

ლექციების მოსასმენად საჭიროა უმაღლესი მათემატიკის ძირითად დებულებათა ცოდნა.

ლექციები წაიკითხება კვირაობით, დილის 11 საათიდან, ნაშუადღევის 1 საათამდე ინსტიტუტის სახატავ დარბაზში. (რუსთველის პრ. № 10)

„საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ თავმჯდომარე **მ. ესსენი.**

— **„პროლეტარ სტუდენტთა დახმარების კვირეული“-ს** მომწყობი ცენტრალური კომისია იუწყება, რომ კომისიის გაფართოვებული სხდომა, პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა წარმომადგენლობის მონაწილეობით მოხდება შაბათს, 17 ნოემბერს, 1923 წ., საღამოს 7 საათზე „სასახლის წითელ დარბაზში“.

პასუხისმგებელი მდივანი **მარიამ ორახელაშვილი.**

განათლების მუშაკთა სახლში.

— პარასკევს 16 ნოემბერს საღ. 7 საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა—არა რუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლება.

— საღ. 6 საათ. ქართული ენის წრის სხდომა—არა-ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება.

— საღ. 7 საათ. ბუნების მეტყველთა წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათს, 17 ნოემბერს, საღ. 6 საათ. პოლიტეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— შაბათობით საღ. 6 საათ. პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე **შიუკაშვილი.**
კავშირის საქმეთა მმართველი **ბარამიძე.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მიხეილ ნიკოლოზის ძე, შვილები ანდრია, ფედოსი, ანიჩკა, ალათი, რძალი მარუსია, სიძეები ანდრია ხოჭოლავა და ერმილე ჩხაიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 14 ნოემბერს, უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი

სოფიო გიორგის ასული ჭყონიასი

გამოსვენება კვირას, 18 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე (პეტროვსკის ქ. № 52) დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე.

150—2—1

დიმიტრი კონსტანტინეს ძე და მაკინე ნიკოლოზის ასული ციციშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა. წ. 14 ნოემბერს, უდროვოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი

თამარ დიმიტრის ასული ციციშვილისა

პანაშვიდები ყოველდღე ბინაზე სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 6, საღ 5 საათიდან. გამოსვენება მოხდება ხვალ, შაბათს, 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

152—1—1

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

სოფიო ისიდორეს ასული მაჭარაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს გულდამწვარი დედა ნატალია მაჭარაშვილისა, ძმები: ლუარსაბ, ვახტანგ და დიმიტრი, დები: ლიდია და მარიამ, ბიძა გიორგი მაჭარაშვილი ცოლ-შვილით და სიძე ნიკოლოზ ხოხიაშვილი შვილებით. გამოსვენება ბინიდან (არაგვის ქ. № 8) და დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე შაბათს, 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

154—1—1

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

შრომის სკოლების 5 და 6 წლისათვის რუსული ენის სახელმძღვანელო

იაკობ გოგებაშვილი:

რუსკოე სლოვო

გამოცემის მთავარი საწყობი: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 8. ტელეფ. 7—54.

საამხ. გამომცემ. საზ—ბა „წითელი წიგნი“

მოითხოვეთ ყველ წიგნის მაღაზიაში და კიოსკებში.

735—2—1

ელექტრობის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

[illegible]

სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ [illegible]**

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126 25 6)

სახაზინო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის

ბ. დ. ხანცინის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან-4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტერნის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14.

(46—25—24)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

78 25—17

დავკარგე პასპორტი მიღებული რაჭის მაზრაში კიმოთე არ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 109—1

დავკარგე მილიციის სამმართველოდან აღებული ტრამვაის რექციის მიერ შემოწმებული პირადობის მოწმობა სამილიციო რაიონის უმცროსმა მილიციონერმა მიხეილ ბესარიონის ძე ქრაძემ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 153—1

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა საშა წულუკიძის ქ№ 4.